# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურ-თის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 13 მარტი. 2024 წ. №30 (9710) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


იაკობ ლეჟავა:




იხ. 6-7 გვ.

# „ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვართ... ნატოსთან“!



9

## მუცო კვლავ ელის შეთეკაურებს!

იენს სტოლტენბერგი:

## ახლა უკრაინელების დანებებაზე საუბრის დრო არ არის...



8



8

ტოივო კლაარი:

## აფხაზეთის მხარდასაჭერად ევროკავშირმა დაახლოებით 180 მლნ ევრო დახარჯა

შალვა პაპუაშვილი:

## კანონის უზენაესობა ევროკავშირში არჩევითი კი არა, აუცილებელი უნდა იყოს!



2



12

## გელათში კრიტიკული კვრების რესტავრაცია დაიწყო

უილიამ ბერნსი:

## დამატებითი დახმარების გარეშე უფრო მეტ ავდეევკას ვნახავთ უკრაინაში...



## აზერბაიჯანი და ყაზახეთი ბაქო-სუფსის მილსადენს გამოიყენებენ!

**აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარი“ ყაზახეთის ეროვნულ ნავთობკომპანია „ყაზმუნაიგაზს“ ბაქო-სუფსის მარშრუტთან დაკავშირებულ წინადადებებს ერთი თვის განმავლობაში წარუდგენს.**

ამის შესახებ აზერბაიჯანულ სააგენტო „ტრენდთან“ ინტერვიუში ბაქოში ვიზიტით მყოფმა „ყაზმუნაიგაზის“ ხელმძღვანელმა მაგზუმ მირზაგალიევმა განაცხადა. როგორც აზერბაიჯანული მედია იტყობინება, აზერბაიჯანული მხარე განიხილავს ბაქო-სუფსის ნავთობსადენით წელიწადში სამი მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირების საკითხს. ეს ინფორმაცია ყაზახეთის ენერგეტიკის მინისტრმა ალმასადამ სატკალიევმაც დაადასტურა.

**„განიხილება ბაქო-სუფსის მილსადენის გამოყენების შესაძლებლობა, რომლის გამტარუნარიანობა შეადგენს წელიწადში ხუთ მილიონ ტონას. ზოგადად, ამ მიმართულებით დისკუსიები გრძელდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან“,** – განაცხადა მან.

**როგორც „ტრენდი“ წერს, აზერბაიჯანმა ყაზახეთს ბაქო-სუფსის მილსადენის გამოყენება ჯერ კიდევ 2022 წელს შესთავაზა.**



10

## კახა კალაძე „მილანზე“, კარიერაზე, კვარაცხელიასა და სხვა თემებზე



# ეს ის შემთხვევაა, როცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს



# ყველა ევროპულმა ინსტიტუტმა უნდა დაუჯეროს!

## შალვა პაპუაშვილი: კანონის უზენაესობა ევროკავშირში არჩევითი კი არა, აუცილებელი უნდა იყოს!

**დემოკრატიის ყველაზე ფუნდამენტური იდეა გვეუბნება, რომ არ შეიძლება კეთილი ზრახვების უკეთური საშუალებებით მიღწევა. ამიტომაც იუსტიციის რეფორმის კრიმინალების ხელით გატარება კანონის უზენაესობის პრინციპებს ეწინააღმდეგება,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნავს.

მისი თქმით, უკრაინის მთავრობის მიერ ქართველი კრიმინალის ზურაბ ადეიშვილის შეფარება და გენერალური პროკურორის მრჩევლად დანიშვნა, ასევე ადეიშვილის ბოლოდროინდელი ოფიციალური შეხვედრები გერმანიასა და ევროკავშირის სახელისუფლებო ინსტიტუციებში არასწორ სიგნალებს გვიგზავნის, რომლებიც ძირს უთხრის დემოკრატიული ცვლილებებისკენ მიმართულ საერთაშორისო თანამშრომლობას.

**„ადეიშვილის კრიმინალური წარსული კარგადაა დოკუმენტირებული ქართული სასამართლოს მიერ. მას ექვსწლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი ხუთი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, უკანონო გატაცებით დაწყებული, კომპანიების უკანონო გაკოტრებით გაგრძელებული. კიდევ ორ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო პროცესები გრძელდება. განაჩენების შეკრებითობის პრინციპი რომ არ გაგვეუქმებინა, რომლის შემოტანაში წვლილი თავად ადეიშვილმაც შეიტანა, მას, მთლიანობაში, ციხეში 18 წლის გატარება მოუწევდა. ის იყო სააკაშვილის ჯალათი და ძალადობრივი მართლმსაჯულების და პენიტენციური სისტემის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი. შეუძლებელია, რომ ადეიშვილი ვინმემ დემოკრატიულ რეფორმატორად წარმოუდგინოს ან ქართველ ხალხს, ან საერთაშორისო თანამეგობრობას.**

**ცხადია, უკრაინელი ხალხის ბრძოლამ საერთაშორისო დახმარება და აღტაცება გამოიწვია. საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი ყველანაირად დაეხმარა უკრაინელების ბრძოლას რუსული აგრესიის წინააღმდეგ. საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინის მხარდაჭერითა და რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების აღსრულებით დაწყებული, ათიათასობით უკრაინელი ლტოლვილის შეფარებითა და ჰუმანიტარული დახმარებით გაგრძელებული, საქართველოს მთავრობამ და ქართველმა ხალხმა უკრაინის მხარდაჭერის კეთილი ნება გამოავლინა. სამწუხაროდ, ეს კეთილი ნება ორმხრივი არ აღმოჩნდა. გაუგებარია, რომ უკრაინის მთავრობამ გაიწვია საკუთარი ელჩი თბილისიდან და მოითხოვა კიევიდან საქართველოს ელჩის გამოწვევაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ელჩი თითქმის ერთადერთი უცხოელი დიპლომატი იყო, რომელიც რჩებოდა უკრაინის დედაქალაქში მაშინაც კი, როდესაც რუსული ოკუპაციის საფრთხე 2022 წლის გაზაფხულზე აშკარა იყო“,** – აცხადებს **პაპუაშვილი.**

მისი თქმით, უკრაინა ომშია, მაგრამ გაუგებარია, რა საჭიროა ქართველი კრიმინალების შეფარება და საქართველოსთვის მათ გადმოცემაზე უარის თქმა.

**„დღემდე საქართველოს მთავრობა თავს იკავებდა, საჯაროდ გამოეტანა უკრაინის მთავრობასთან უთანხმოება ქართველი კრიმინალების შეფარების გამო. უკრაინა ომშია, მაგრამ გაუგებარია, რა საჭიროა ქართველი კრიმინალების შეფარება და საქართველოსთვის მათ გადმოცემაზე უარის თქმა. ადეიშვილის გარდა, რომელიც სერიოზული დამნაშავეა, გიორგი ლორთქიფანიძე უკრაინის დაზვერვის უფროსის მოადგილეა, რომელიც, სხვა საქმეებს შორის, დადანაშაულებულია სააკაშვილის საქართველოში უკანონო შემოყვანაში, 2021 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.**

## უკრაინა ომშია, მაგრამ გაუგებარია, რა საჭიროა ქართველი კრიმინალების შეფარება და საქართველოსთვის მათ გადმოცემაზე უარის თქმა

**უკრაინას რაღაც მიზეზი მაინც აქვს ომის სახით, რომელიც შეუძლია, ქართველი კრიმინალების საკითხში ჩაუღრმავებლობის საბაბად მოიტანოს. მაგრამ გერმანიისა და ევროკავშირის ინსტიტუტებს არანაირი საბაბი არ გააჩნიათ, რომ მათ მიმართ კეთილი ნება გამოავლინონ. გასულ კვირას ჩვენ ვნახეთ, რომ ადეიშვილი ამაყად იყო წარმოდგენილი ბუნდესტაგის სტუმრებს შორის. მეტიც, იგი, უკრაინის დელეგაციის შემადგენლობაში?! მონაწილეობდა გერმანელ და ევროპელ მაღალჩინოსნებთან მოლაპარაკებებში ბერლინსა და ბრიუსელში. ქართველებისთვის ეს ერთგვარი დეჟავიუ იყო, რამაც სააკაშვილის თავისუფალი მიმოსვლა გაგვახსენა ევროპასა და შეერთებულ შტატებში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩადენილი დანაშაულებისთვის იძებნებოდა.**

**ევროკავშირთან ურთიერთობის ახალი „9 ნაბიჯის“ მთავარი აქცენტი დეზინფორმაციასთან ბრძოლაა. საქართველოს მთავრობა ენთუზიაზმით შეხვდა ამ ჩანაწერს. მაგრამ რა არის ადეიშვილის მიღება ევროპის მაღალ დიპლომატიურ დონეზე, თუ არა დეზინფორმაცია იმაზე, თუ რას წარმოადგენს ადეიშვილი? როგორ აპირებენ, გერმანული და ევროპული ინსტიტუციები დაარწმუნონ ქართველები, რომ კრიმინალი ადეიშვილი დემოკრატიას აშენებს უკრაინაში და დიპლომატიურ მოლაპარაკებებში მისი მოთმენა შესაძლებელია?**



**კანონის უზენაესობა მხოლოდ იდეალისტური პრინციპი არ არის. მას პრაქტიკული პოლიტიკური შედეგები აქვს. გავიხსენოთ, რომ სააკაშვილს დასავლეთში თავისუფალი გადაადგილების საშუალება ჰქონდა და ამას ბევრი ჩვენი პარტნიორი არ იმჩნევდა, თითქოს სერიოზული არაფერი ხდებოდა. ამასობაში, თავისუფალი გადაადგილებისა და უკრაინული თანამდებობის პრივილეგიების წყალობით, სააკაშვილი ბოროტად ერეოდა ქართულ პოლიტიკაში და პოლიტიკური რადიკალიზაციის კოცონს აგიზგიზებდა. მერე კი იგი უკვე საქართველოში ვნახეთ, საჭირო დროს, არჩევნების დღეს არეულობა რომ მოეწყო. მხოლოდ ქართული სპეცსამსახურების წყალობით მოხდა, რომ იგი სწრაფად იპოვეს და დააკავეს, რის გამოც მისი გეგმა ჩაიშალა, რომელსაც საქართველოში სტაბილურობისთვის სერიოზული საფრთხის შექმნა შეეძლო. ამ თვალსაზრისით, სააკაშვილის და, ახლა უკვე, ადეიშვილის მიმღებლობა დასავლეთის მიერ სულაც არ არის ისეთი უვნებელი, როგორც გამოიყურება. ეს მიმღებლობა ძირს უთხრის ღირებულებებს, რომლებზეც საქართველოს ევროპული მისწრაფებები დგას. მეტიც, არაფერი აზიანებს ქართველების ნდობას ევროპული ღირებულებების მიმართ უფრო მეტად, ვიდრე მოძალადე კრიმინალების შეფარება უკრაინისა და ევროპული დემოკრატიების მიერ.**

**რაც უფრო მალე მორჩება ეს ფარისევლობა, მით უკეთესი. ქართველი ხალხი მოელის, რომ ევროპელი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები ერთგულნი იქნებიან ჩვენი საერთო ღირებულების, კანონის უზენაესობის მიმართ, უარს იტყვიან რუხ ზონებზე და საჭირო ნაბიჯებს გადადგამენ. კანონის უზენაესობა ევროკავშირში არჩევითი კი არა, აუცილებელია“!**

## კახა კალაძე: ბოროტების ადგილი ქართულ პოლიტიკასა და ჩვენს ქვეყანაში არ არის

**როგორ შეიძლება, კონკურენტად აღიქვა ადამიანები და პოლიტიკური პარტია, რომელიც იბრძოლებს, რომ ერთი ან ორი პროცენტი მიიღოს? ყველა იმ პოლიტიკურ პარტიას და პოლიტიკოსს, რომლებიც რადიკალიზმით შემოიფარგლებიან, ექნებათ პრობლემა ბარიერის გადალახვის,** – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ნიკა მელია და ნიკა გვარამია საზოგადოებას ვერ წარუდგებიან, როგორც ახლები, რადგან მათზე მოქალაქეებმა საკმაოდ ბევრი იციან.

**– დღეს შეიძლება აქვთ სურვილი, საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია, თითქოს ახლები არიან, თუმცა მელია რომელი ახალია ან ნიკა გვარამია? რითი დაამახსოვრეს ამ ადამიანებმა თავი საზოგადოებას? რადიკალიზმით, სიბინძურით. თუ რამე სიბინძურე შეიძლება ადამიანმა იკადროს, მოიფიქროს, ყველა წითელი ხაზი გადაკვეთოს, ყველა გაკეთებული აქვთ. ახლა რომ დავიწყო ამის მოყოლა, შეიძლება იმდენ ხანს გაგვიგრძელდეს, რომ ვერ დავამთავროთ საუბარი. საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, შეფასებები გაკეთებული აქვს, ვინ რას წარმოადგენს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რადიკალიზმის, ოდიოზურობისა და ბოროტების ადგილი ქართულ პოლიტიკასა და ჩვენს ქვეყანაში არ არის,** – განაცხადა კალაძემ.





დავით არახამია:

# დაგვიბრუნდეს სააკაშვილი!..

## რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი... და მიხას თავითაო!

**უკრაინის** რადას ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე **დავით არახამია** საქართველოს მთავრობის განცხადებას ასეთი ულტიმატუმებით გამოეხმაურა:

**„1. ციხიდან გათავისუფლდეს და დაგვიბრუნდეს ჩვენი მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი; 2. შეწყდეს პირდაპირი ფრენები რუსეთის ფედერაციასთან, რასაც თავად ქართველი ხალხიც ითხოვს; 3. შეწყდეს აგრესორის დახმარება სანქციების გვერდის ავლაში. მაშინ ურთიერთობების ნორმალიზებაც მარტივად მოხდება“,** – წერს **არახამია.**

**საქართველოს მთავრობამ გუშინ განცხადება გაავრცელა, რომელშიც გამოთქვამს იმედს, რომ უკრაინის ხელისუფლება გადახედავს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მეგობრულ სულისკვეთებას საქართველოსა და უკრაინას შორის. „ურთიერთობების მოსაწესრიგებლად მნიშვნელოვანი და აუცილებელია, უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოს გადასცეს დამნაშავეები, რომლებიც დღეს უკრაინის ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებს იკავებენ“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

## ირაკლი კობახიძე: არასწორი და გაუგებარია მოწოდებები, რომ სააკაშვილი უნდა გავათავისუფლოთ

**სააკაშვილთან დაკავშირებით ორი წლის განმავლობაში ვუყურებდით ყალბ კამპანიას, რომ იყო მომაკვდავ მდგომარეობაში. ამ ფონზე, არასწორი და გაუგებარია მოწოდებები, რომ სააკაშვილი უნდა გავათავისუფლოთ,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა.

**– ჩვენ ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ ორი წელი ატყუებდნენ საზოგადოებას, ცდილობდნენ, საზოგადოება მოეტყუებინათ, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო მომაკვდავ მდგომარეობაში, შეიძლებოდა, ნებისმიერ დღეს დამდგარიყო ფატალური შედეგი. ეს იყო ყალბი კამპანია, რასაც ვუყურებდით მთელი ორი წლის განმავლობაში. საბოლოო ჯამში, დამტკიცდა, რომ ეს ყველაფერი იყო სრული სიცრუე, სიყალბე. ამ ფონზე, როცა კიდევ ერთხელ კეთდება განცხადებები, მოწოდებები იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილი უნდა გავათავისუფლოთ და ასე შემდეგ, რბილად რომ ვთქვათ, ეს არასწორი, გაუგებარია. ამაზე მეტ კომენტარს არ გავაკეთებ. შესაძლოა, მქონდეს ჩემი შეხედულებები კონკრეტულ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებიც, მაგალითად, რუსულ ენაზე მიმართავდნენ ქართველ საზოგადოებას ორი წლის წინ, მაგრამ ასეთ ადამიანებთან პოლემიკაში შესვლა არ მინდა,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

* * *

**– ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინის სახელმწიფოს, რაც არის გამოხატული არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ კონკრეტული საქმით, ეს არის 600-ზე მეტი მხარდაჭერილი აქტი, რეზოლუციები და დოკუმენტები, სხვა გადაწყვეტილებები, ეს არის ფართო ჰუმანიტარული დახმარება. როდესაც ასეთ დროს კეთდება გაუგებარი განცხადებები, ეს ამყარებს ჩვენს რწმენას, რომ რაღაცები არ ხდება ისე, როგორც უნდა ხდებოდეს. თუმცა უკრაინა დღეს არის მძიმე ვითარებაში, უკრაინელი ხალხი არის ომის მდგომარეობაში, ძალიან მძიმე მდგომარეობაა უკრაინაში, აქედან გამომდინარე, ჩვენ, პირველ რიგში, პატივს ვცემთ უკრაინელ ხალხს და, შესაბამისად, არ ვაპირებთ არახამიასთან თუ სხვა პოლიტიკოსებთან პოლემიკაში შესვლას. არ მინდა, პოლემიკაში შევიდე, ფაქტია, რასთანაც გვქონდა საქმე მთელი ამ ორი წლის განმავლობაში – ჯერ როდესაც მოხდა საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევა, აბსოლუტურად გაუგებარი იყო ეს გადაწყვეტილება. როდესაც პრაქტიკულად გააძევეს ჩვენი ელჩი უკრაინიდან, საბაბი იყო თითქოს მომაკვდავ მდგომარეობაში სააკაშვილის ყოფნა, დღეს ღიმილის მომგვრელიც კი აღარ არის უკვე ეს საბაბი.**

**შეგახსენებთ მეორე ფრონტთან დაკავშირებით პოდოლიაკის, დანილოვისა და სხვების განცხადებებს, შეგახსენებთ იმას, რომ ძებნილები, დამნაშავეები დღეს უკრაინაში კვლავაც იკავებენ მაღალ თანამდებობებს, ეს არ შეესაბამება იმ ისტორიულ, მეგობრულ ურთიერთობებს, რომლებიც არსებობს უკრაინელ და ქართველ ხალხებს, უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის. ეს არის სრული აცდენა ამ ისტორიულ-მეგობრული სულისკვეთებიდან. შესაბამისად, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ უკრაინის ხელისუფლებას, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ისტორიული მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავებას და ხელს არ შეუწყობს ხალხების, ქვეყნების ხელოვნურად დაშორებას“,** – განაცხადა კობახიძემ.

## ქართველ ხალხს ისტორიულად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა უკრაინელ ხალხთან და ამას ვერავინ შეაჩერებს

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, **კახა კალაძემ** განაცხადა.

**– ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე უკრაინის მიმართ ჩვენი თანადგომა იყო, ასევე ჰუმანიტარული დახმარება, საქართველოში ჩამოსული უკრაინელების მიმართ როგორი მხარდაჭერა, თანადგომა იყო და ეს დღესაც გრძელდება. ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს ქართველებისა და უკრაინელების მეგობრობას. რაც შეეხება არახამიას განცხადებას, არ მინდა, პოლემიკაში შევიდე დავით არახამიასთან, მინდა, მშვიდობა ვუსურვო უკრაინას.**

**რაც შეეხება ფრენების შეწყვეტას, სანქციების მიერთებას, გამოვდივართ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ინტერესიდან. არაერთხელ გვითქვამს და დაგვიფიქსირებია, რომ პირველია ქვეყანა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შესაბამისად, არ და ვერ გადავდგამთ ისეთ ნაბიჯს, რომელიც, თავიდანვე ვიცით, შეიძლება, დამაზიანებელი იყოს საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობისთვის, საქართველოს ხელისუფლება ამას არ გააკეთებს. რაც შეეხება სააკაშვილს, ის არის ბრალდებული, დამნაშავე კონკრეტულ საქმეებში, მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი და ყველა ადამიანს მოუწევს კანონის წინაშე პასუხისგება...**

# ძირგამომთხრელი „ვეტინგი“!




## უზენაესი სასამართლო: ე.წ. ვეტინგი ლახავს სასამართლოსა თუ ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო პროცედურის, ე.წ. ვეტინგის სისტემის დანერგვის ინიციატივასთან დაკავშირებით გამოთქვამს შეშფოთებას.**

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ნათელია, რომ ე.წ. ვეტინგი ერთმნიშვნელოვნად, არსებითად და პრინციპულად ლახავს სასამართლოსა თუ ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი და მიზნად ისახავს „კეთილსინდისიერების“ შემოწმების საჭიროების თაობაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციას, რათა გაადვილდეს პოლიტიკური კონტროლის განხორციელება სასამართლო ხელისუფლებაზე.

**„უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლეთა მიმართ გარეგანი ზეწოლის როგორც მითითებული შინაარსი, ისე ამ მასშტაბით განხორციელება, საამისოდ გათვალისწინებული ფაქტობრივი მოცემულობის არარსებობის პირობებში, ქმნის გონივრულ ეჭვს, რომ აღნიშნული წარმოადგენს თითოეული მოსამართლისადმი ინდივიდუალურად მიმართულ გზავნილს – შესაბამისი დღის წესრიგით გაცხადებული პოლიტიკური კონტროლისათვის დაქვემდებარებაზე უარის გაცხადების პირობებში – მათ მიმართ შემოწმების საგანგებო მექანიზმების გავრცელება (გამოყენების) დაშვების თაობაზე.**

**სასამართლოში მუდმივი დაძაბულობის კლიმატის შექმნა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს თითოეული მოსამართლის ინდივიდუალურ საქმიანობაზე. ამგვარ პირობებში კი ნიშანდობლივია მცდელობა, რომ საერთო სასამართლოების სისტემის ყურადღება, მართლმსაჯულების განხორციელების საკვანძო ფუნქციის განხორციელების ნაცვლად, მიმართული იყოს ისეთი პროცესებისკენ, რომლებიც თავისი შინაარსით არასამართლებრივი და წმინდა პოლიტიკური ხასიათის შემცველია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღეს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, განსაკუთრებული სიზუსტით და მომეტებული სიფრთხილით მოწმდება თითოეული მოსამართლის კეთილსინდისიერების, კომპეტენტურობის და მოსამართლის მაღალ თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხები, რისი მაგალითიც გახლავთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის უპრეცედენტო პროცესი, რომელსაც პირდაპირ ეთერში თვალს ადევნებდა ქვეყნის მოსახლეობა“,** – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, უზენაესი სასამართლოს განცხადებით, ე.წ. ვეტინგის ინიციატორები მიზანმიმართულად კვლავ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს მიიჩნევენ ე.წ. ვეტინგის ადრესატებად.

**„ასევე, მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მოსამართლე, ყოველწლიურად ავსებს რა დეკლარაციას, რომელიც საჯაროა, ქმნის სავსებით საკმარის საინფორმაციო ბაზას თავისი ქონებრივი მდგომარეობის სრულფასოვანი მონიტორინგისათვის. ამას ემატება არასამთავრობო სექტორის შერჩევით ცალკეულ მოსამართლეთა დეკლარაციების სპეციალური მონიტორინგი. არსებულ მოცემულობაში, ე.წ. ვეტინგის მოთხოვნა არის დაინტერესებული პირების მანიპულაციური, მოჩვენებითი ზრუნვა მართლმსაჯულების სისტემაზე. ცხადია, რომ მითითებული აქტორების მოჭარბებული ინტერესი და მათი დღის წესრიგი მიზნად ისახავს სასამართლო სისტემის, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი დამოუკიდებელი შტოს ლეგიტიმაციის შესუსტებას და მართვის მექანიზმების სასამართლოს მიღმა გატანას. საქართველოს უზენაესი სასამართლო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ქართულ სასამართლო სისტემაში არც მოსამართლეთა კეთილსინდისიერება თუ კვალიფიკაცია, არც მართლმსაჯულების ხარისხი და არც გადაწყვეტილებათა დასაბუთების სტანდარტი არ მიუთითებს სამართლის უზენაესობის პრობლემის არსებობაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, საერთაშორისო პრაქტიკამ თვალნათლად აჩვენა მსგავსი ე.წ. „საგანგებო პროცედურების შედეგი“ – სამართლის უზენაესობის პრინციპის განმტკიცების ნაცვლად, ამ პრინციპის მოსპობა.**

**დაბოლოს, ნათელია, რომ ე.წ. ვეტინგი არ მიეკუთვნება საერთაშორისო სტანდარტს, უხეშად ლახავს სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ითვალისწინებს რა სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს – სასამართლოს დაკომპლექტების მექანიზმების გარე აქტორების ხელში გადატანას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის, ინდივიდუალური მოსამართლისა თუ მოსამართლეთა ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული ღირსების, დამოუკიდებლობის, ინსტიტუციური რეპუტაციის შემლახველ პროცედურას და იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული სწორად იქნება აღქმული საზოგადოების მხრიდან“.**

## პრემიერისთვის კატეგორიულად მიუღებელია „ვეტინგი“!

**– როგორც იურისტმა, შემიძლია დავადასტურო, რომ „ვეტინგი“ არა მხოლოდ ფორმალურად ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას, არამედ ეწინააღმდეგება, პირველ რიგში, ზოგად, საზოგადო კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. აქედან გამომდინარე, პირადად ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, „ვეტინგი“ კატეგორიულად მიუღებელია.**

**„ვეტინგის“ მსგავსი რამ საქართველოში განხორციელდა 2004 წელს და ამ ყველაფერმა რაც მოიტანა, საზოგადოებისთვის ნათელია. ეს იყო სასამართლოს სრული დამორჩილება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, სააკაშვილი-ადეიშვილის რეჟიმის მიერ. აქედან გამომდინარე, „ვეტინგი“ მიუღებელია არა მხოლოდ ფორმალური სამართლებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე, არამედ, პირველ რიგში, პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე. ადეიშვილის ყოფილი მოადგილე წოწორია ატარებს „ვეტინგს“ მოლოდინში და ყველას შეგიძლიათ, ივარაუდოთ, როგორ დასრულდება ეს. ჩვენთვის ასეთი პროცესები მიუღებელია.**

# რა გააძლებინებს ისე ნიკუტებს, თუ არ „შეიქციეს თავი“ პოლიტიკით...



## ნიკა მელიამ და ნიკა გვარამიამ პარტია „ახალში“ გაერთიანების შესახებ 11 მარტს ოფიციალურად განაცხადეს

როგორც ნიკა გვარამიამ თქვა:

**„ჩვენი პარტია არის „ახალი“, ჩვენ ვართ ერთად, ჩვენ ვიბრძვით საქართველოში ახალი გზებით ცვლილებებისთვის. ჩვენ შევცვლით, რადგან ჩვენ ვიცით ბრძოლა, ვიცით, რა ფასი აქვს მოუსყიდაობას, სამშობლოს მსახურებას, ვიცით, როგორ დავძლიოთ სირთულეები და როგორ დავძლიოთ გამოწვევები. ჩვენ ასევე ვიცით, როგორ ვმართოთ. ჩვენი ფერია მწვანე, ეს არის სიახლის, ახალი დასაწყისის ფერი, ჩვენი ფერია ნარინჯისფერი, ეს არის დაუცხრომელი ენერგიის, წინსვლის და იმედის ფერი. ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის ჩვენი მთავარი ფასეულობები, თეთრთან ერთად, რომელიც სისუფთავის, მოუსყიდაობის და ბედნიერების ფერია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გავალთ წინ. ეს არის ჩვენი სიმბოლოები, წინ მიმართული ისარი. ეს არის სწრაფად წინ მოძრაობა ამ დაპაუზებულ ქვეყანაში. ეს არის მთავარი განაცხადი, ჩვენ ვივლით მხოლოდ წინ და არ გავიხედავთ უკან. ჩვენ უნდა დავამარცხოთ, პირველ რიგში, საკუთარი თავი ჩვენს ამბიციებში და მხოლოდ გაერთიანების შემდეგ ჩვენ შევძლებთ ბიძინა ივანიშვილის დამარცხებას. ლოგოც კარგად აჩვენებს ჩვენს გაერთიანებას, ჰარმონიულ და სინქრონულ მოქმედებას. ერთ-ერთი მთავარი, რაც ჩვენ გვაქვს, ეს არის ნომერი 4, რომელიც ხდება ახალი სიმბოლო, ახალი ნომერი გამარჯვების“,** – დასძინა გვარამიამ.

არსებული ინფორმაციით, პარტიაში გაერთიანდნენ: ნინო კვიტაიშვილი, დარეჯან ცხვიტარია, ანა გოგოლაძე, ნოდარ ჩაჩანიძე, მაია კოპალეიშვილი, დიმიტრი ბიძინაშვილი, გიორგი კირთაძე, მირდატ ქამადაძე, გედევან ფოფხაძე და სხვები.

## ნიკა მელია: პარტია „ახალი“ ქართულ პოლიტიკას ჯადოს მოხსნის, ჯადოს!

**„სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკაში შეიკრა მანკიერი წრე და მანკიერმა წრემ ჩაკეტა პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი. ამ ჩაკეტილობამ გამოიწვია ურთიერთბრალდებები, უნდობლობა. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მძიმე გვერდითი ეფექტი არის სახეზე, როდესაც ხალხს, პრაქტიკულად, მოვწყდით და მხოლოდ ერთმანეთში ვსაუბრობთ.**

**მიმაჩნია, რომ დღევანდელი დღე იქნება ამ მოჯადოებული წრის გარღვევა. ნომერი ოთხი და პარტია „ახალი“ აუცილებლად მოხსნის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას პოლიტიკურ ჯადოს. აქ არავინ არავის გვერდით არ დგას, ჩვენ ერთმანეთს ვუდგავართ გვერდში და მჯერა, რომ ყველაზე რთულ, კომპლექსურ პრობლემას ხშირად აქვს მარტივი გამოსავალი და ეს გამოსავალი დღეს ჩვენ ვიპოვეთ. ეს მარტივი გამოსავალი ცოტა ხანში გადაიქცევა მომავლის იმედად და გამარჯვების რწმენად“...**

# გედიმ დაიჯერა თავისი პოლიტიკოსობა და მამალი ინდაურივით გაი-ფოფ-ხორა, რომელიც დედალი ინდაურისკენ იწევს მარტში... გაივლის ეს მარტიც და ჩაფლავდება

**„მხოლოდ საკუთარ სკამსა და მდგომარეობაზე მოფიქრალი, ქვეყნის მტერი“ – გედევან ფოფხაძე, როგორადაც მას საკუთარი მეგობარი ნიკა გვარამია მოიხსენიებდა, დღეს უკვე გვარამიას გუნდს შეუერთდა. გედევან ფოფხაძემ დაივიწყა ის უხეში ეპითეტი, როცა გვარამიამ ფოფხაძე გენიტალიად მოიხსენია მხოლოდ იმის გამო, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ფოფხაძე აცხადებდა, რომ გრიგოლ ვაშაძის მოგების შემთხვევაში, საქართველოში სამოქალაქო ომი იქნებოდა.**

ერთ დროს ინტელექტუალური კლუბის „რა, სად, როდის?“ წევრების – გვარამიასა და ფოფხაძის გზების გადაკვეთა, სავარაუდოდ, იმით არის განპირობებული, რომ „ბრინჯაოს მოაზროვნის“ სტატუსის მქონე ამ ორმა ადამიანმა, განჭვრიტა, რომ ამ არჩევნებში ერთმანეთი სჭირდებოდათ. გედევან ფოფხაძე უფუნქციოდ იყო დარჩენილი და **ეკა ბესელიას** შემდეგ სად წავიდოდა, თუ არა გვარამიასთან.

მართალია, ნიკა გვარამია საკუთარ პოლიტიკურ გუნდში, სახელწოდებით, „ახალი“ სრულიად ახალი სახეების შეკრებას აანონსებდა, მაგრამ გედევან ფოფხაძის შემთხვევაშიც, ძველი სახე გამოუვიდა. გვარამიას გუნდში არც გვარამია აღმოჩნდა ქართული პოლიტიკისთვის ახალი, არც გედევან ფოფხაძე.

ნაციონალებთან სიმპათია გედევან ფოფხაძემ „ქართული ოცნების“ დატოვებისთანავე გამოავლინა. მართალია, „ოცნებას“ უწუნებდა პრინციპებსა და ღირებულებებთან დაშორებას, „ნაციონალიზაციას“, ასევე, უწუნებდა იმას, რომ „ქოცებმა“ შეინარჩუნეს ნაცების დროინდელი პროკურორები, მოსამართლეები, ჩინოვნიკები, მაგრამ იყო თუ არა ნიკა გვარამია ნაცების დროინდელი პროკურორი, ალბათ, ამის დავიწყება გედევან ფოფხაძემ შეძლო. ფაქტია, მან ჯერ **ნიკა მელია** დაიცვა, შემდეგ უკვე ნიკა გვარამია, რომელიც ასლან აბაშიძის ქმედებას შეადარა, რომელმაც ჩოლოქის ხიდი ააფეთქა, ნიშნად იმისა, რომ, გედევან ფოფხაძის თქმით, არ სურდა ევროპა და დემოკრატია.

გვარამია-ფოფხაძის ტანდემს „უცნაურ აჯაფსანდალად“ აღიქვამს „გირჩის“ წევრი **ალექსანდრე რაქვიაშვილი** და თვლის, რომ არ იცის, რა არის გვარამიას გუნდთან ცალკეული ადამიანების გაერთიანების მოტივაცია – მეგობრობა, ფული, თუ კიდევ სხვა რამ, ფაქტია, ეს არაა იდეებზე დაყრდნობილი გაერთიანება.

**„ნაციონალური მოძრაობის“ დანამატები“,** – ასე აფასებს პარლამენტარი **ალუდა ღუდუშაური** ნიკა გვარამიასა და გედევან ფოფხაძის გაერთიანებას, რომელთაც ჰგონიათ, რომ ქართველი ხალხი გულმავიწყია და ვერ შეაფასებს იმას, თუ ვის წარმოადგენს გვარამია ან გედი ფოფხაძე.








ქათამი და გედი დაძმობილდნენ

გედევან ფოფხაძე საქართველოს პარლამენტის მერვე მოწვევის წევრი იყო „ბიძინა ივანიშვილი – „ქართული ოცნების“ სიით, იყო მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრიც, ისევ „ქართული ოცნებიდან“. თუმცა „ოცნება“ 2019 წელს დატოვა და ბესელიას ახლად შექმნილ პარტიაში გაწევრიანდა, რომელიც სულ რამდენიმე თვეში დატოვა. ამის შემდეგ იგი **მარიამ ჯაშის**, **ლევან ბოგჩაიშვილის, გექა ნაცვლიშვილის** პარტიას შეუერთდა, რომელიც მალევე დატოვა. 2021 წელს სოლიდარობა გამოუცხადა „ნაცმოძრაობის“ მაშინდელ თავმჯდომარე ნიკა მელიას მის მიმართ განხორციელებული სამართლებრივი დევნის გამო და შეუერთდა სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით აქციას.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** აცხადებს, რომ არავითარი ახალი ძალა გედევან ფოფხაძე არ არის, გედევან ფოფხაძე იყო მეხუთე კოლონის წარმომადგენელი მაშინაც, როდესაც ის შესული იყო „ქართულ ოცნებაში“. ამის დასადასტურებლად ედიშერ გვენეტაძე შარშანდელი 7-8 მარტის მოვლენებს იხსენებს, როდესაც გედევან ფოფხაძე იდგა **სერგი კაპანაძესა** და სხვა ნაცებთან ერთად და აღნიშნული სამეული, სერზე მდგარი სამი მგლის მსგავსად, უყურებდნენ იმ უბედურებას, რაც რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ ხდებოდა, – როდესაც პრეზიდენტი ვაშინგტონიდან მომიტინგეებს მოუწოდებდა, ცოცხლად დახოცეთ ახალგაზრდა ქართველი პოლიციელებიო, ამ დროს გედევან ფოფხაძე და მისი მეგობრები იძახდნენ, მიღებულია იქიდან ნიშანი, რას უცდიან, უკვე უნდა შეიჭრნენო.

**„მარტის პროტესტის დროს გედევან ფოფხაძე და მისი მეგობრები ამბობდნენ, დამთავრებულია ამათი საქმე, მაქსიმუმ, შეიძლება, ერთი თვე-თვენახევარი გაძლოს ამ ხელისუფლებამო. ეს ნიშნავს, რომ გედი ფოფხაძე დასავლეთიდან იმართება, ან პირიქით, გადაბირებულია იმ ძალების მიერ, რომლებიც დგანან გვარამიას უკან. გედი ფოფხაძეს ეგონა, პოლიტიკოსი იყო, როდესაც ის შეათრია ბიძინა ივანიშვილმა „ქართულ ოცნებაში“, დაიჯერა თავისი პოლიტიკოსობა და უკვე მამალი ინდაურივით გაიფხორა. ახლა ის ფაფხურობს და ეს არ მიკვირს, რადგან მამალი ინდაურები დედალი ინდაურებისკენ იწევენ მარტის თვეში, მარტის თვეა ახლა, გაივლის ეს თვეც და ჩაფლავდება მერე“.**

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ გედევან ფოფხაძე არანაირად არ გააძლიერებს გვარამიას გუნდს, რადგან ჯერ გვარამია ეყოფა იმ გუნდს ჩასაძირად, ახლა უკვე ფოფხაძეც დაემატა. საზოგადოებაში არანაირი ნდობა და მხარდაჭერა ამ ადამიანებს არა აქვთ.

**„გედევან ფოფხაძე პოლიტიკური სახე არასდროს არ ყოფილა და არც დღეს არის. 32 წელი შესრულდა, რაც საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს ახლოდან ვაკვირდები, 1992 წლის ოქტომბრიდან პარლამენტის წევრი გავხდი და ამ ხნის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადამიანები ამა თუ იმ გუნდში მოხვედრის გადაწყვეტილებას პირადი ურთიერთობებისა და ანგარების გამო იღებენ. არავითარი პრინციპები და პოლიტიკური თუ ზნეობრივი იდეალები არ აწუხებთ. დაახლოებით ეს იგივეა, ადამიანი რომ ეძებს სამსახურს და ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ გარკვეული შემოსავალი ჰქონდეს. ზუსტად იგივეა, როცა კალეიდოსკოპური სიჭრელით პოლიტიკოსები არიან ხან ერთთან, ხან მეორესთან. არ გამიკვირდება, გახარია და მელია ერთად რომ აღმოჩნდნენ, ან მელია და „ლელო“, ეს ყველაფერი არაერთხელ გავიარეთ და ამას შეეჩვია ჩვენი საზოგადოება“,** – აღნიშნა **პეტრე მამრაძემ.**

მისივე თქმით, თავის დროზე „გირჩი“ პარლამენტში შევიდა ეპატაჟური ქცევის შედეგად. ისინი ავიდნენ ატოცში, ჩაიხადეს შარვლები, გაიშიშვლეს უკანალები, მიუშვირეს იქითა მხარეს და შედეგად აირჩიეს პარლამენტში, მაგრამ ეპატაჟური ქცევით შეიძლება 1-2% მიიღოს ადამიანმა საქართველოში, როგორც კლოუნმა. როდესაც ლაპარაკია 5%-იან ბარიერზე, ასეთ სახეებს, როგორიცაა გვარამია, გედევან ფოფხაძე, არანაირი პოზიტიური წვლილის შეტანა არ შეუძლიათ.

**მანანა ნოზაძე**

# საკადრო ცვლილებები მინისტრთა კაბინეტსა და მთავრობის ადმინისტრაციაში



**გასული ერთი კვირის განმავლობაში გვქონდა კონსულტაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის კანდიდატურის შესარჩევად. ასევე – ინდივიდუალური კონსულტაციები როგორც ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრებთან, ისე სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებთან,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, კონსულტაციების ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ის, თუ რამდენად უნდა ყოფილიყო ახალი მინისტრი სამედიცინო წრეების წარმომადგენელი.

**„ამ საკითხთან დაკავშირებით როგორც პოლიტიკურ გუნდში, ისე სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის აზრი იყო ზუსტად ორად გაყოფილი. ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ახალი მინისტრი უნდა ყოფილიყო აუცილებლად სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენელი, ხოლო მეორე ნაწილი ზუსტად ამის საპირისპირო მოსაზრებას გამოხატავდა. კონსულტაციების შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ მინისტრის პოზიციაზე შეიძლებოდა როგორც სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლების, ისე სხვა კანდიდატების განხილვა. საბოლოოდ უპირატესობა მივანიჭე ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრს, რომლის პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების მიმართ გამოცდილებაზე დაფუძნებული განსაკუთრებული ნდობა მაქვს.**

**მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად დაინიშნა ბატონი მიხეილ სარჯველაძე. მას განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. 2012 წლამდე ბატონი მიხეილი ეწეოდა წარმატებულ საადვოკატო საქმიანობას, 2012 წლის შემდეგ მას ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საჯარო სამსახურში. შეგახსენებთ, რომ მიხეილ სარჯველაძე იყო აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი, მოგვიანებით – იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 2012 წლიდან ის გახლდათ საპარლამენტო გუნდის წევრი, საქართველოს პარლამენტის წევრი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.**

**მინდა წარმატებები ვუსურვო ბატონ მიხეილ სარჯველაძეს, რომელიც დღეიდან გაუძღვება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. შეგახსენებთ, ეს არის ჯანდაცვა და გარდა ჯანდაცვისა, ეს არის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, დევნილების ინტერესების დაცვა, დასაქმება და შრომის საკითხები. გამოწვევები არის უამრავი ყველა მიმართულებით, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილ სარჯველაძე მისი პროფესიონალიზმით, გამორჩეული პიროვნული თვისებებით იქნება საუკეთესო მინისტრი და ძალიან მნიშვნელოვან წარმატებებს მოუტანს ამ დარგს“**, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა.

**„მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა ბატონი ლევან ჟორჟოლიანი, რომელიც დღემდე იყო თბილისის საკრებულოს წევრი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე; მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად – ბატონი ნიკოლოზ ტყემალაძე; პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში დაინიშნა ბატონი გიორგი ქაჯაია, ხოლო პრემიერ-მინისტრის მრჩევლად – ბატონი ზურაბ აბაშიძე“**, – განაცხადა პრემიერმა.

**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**



# გერმანიიდან სამაშველო შვეულმფრენი ჩამოფრინდა!

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას თანამედროვე, ახალი, ევროპული ტიპის „H 145“ ვერტმფრენი შეემატა. ვერტმფრენის გადმოცემა, გერმანიაში, „Airbus Helicopters“-ის საწარმოში განხორციელდა, რომელსაც სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე გიორგი მალანია და სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის დირექტორი იოსებ არჯევანიშვილი დაესწრნენ,** – ამის შესახებ ინფორმაციას შსს-ის პრესსამსახური ავრცელებს.

თანამედროვე ევროპული ტიპის „H145“, ვერტმფრენი, ფრანგული კომპანია „Airbus Helicopters“ ერთ-ერთი უახლესი მოდელია. ახალი ბორტები სრულად დაკომპლექტებულია ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით. მათ გააჩნიათ 2 ძრავა, რაც ზრდის ფრენის უსაფრთხოებას. ამ ტიპის შვეულმფრენები მაღალ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა, რაც, საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით, არსებულ ამოცანებთან სრულად თავსებადი იქნება. მსგავს ვერტმფრენებს წარმატებით იყენებენ გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები.

2022 წლის 19 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელშეკრულება გაფორმდა ფრანგულ კომპანია „Airbus Helicopters“-თან სამი „H145“ ვერტმფრენის შეძენასთან დაკავშირებით. შემდეგი ორი ბორტის გადმოცემა ქართული მხარისთვის 2024 წლის ივნისამდე იგეგმება.

# ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა დასკვნით ფაზაშია



**ბათუმის შემოვლითი გზის ურთულესი პროექტი, რომლის მშენებლობა მიმდინარეობს რთულ გეოლოგიურ პირობებში, ბევრი გამოწვევის მიუხედავად წელს დასრულდება. კიდევ უფრო დიდი ძალისხმევის და გაზრდილი რესურსების პირობებში, შესაძლებელი იქნება აღნიშნული გზის სეზონისთვის გახსნა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბათუმისთვის,** – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ირაკლი ქარსელაძემ** ბათუმის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა.

ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის ფარგლებში, 14 კმ-იანი 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, 20 სახიდე გადასასვლელი და 5 გვირაბი შენდება. ამ დროისათვის, პროექტით გათვალისწინებული ხუთივე გვირაბი გაჭრილია და 20 ხიდიდან აშენებულია 19 ხიდი.

მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ შემოვლითი გზის შინაარსიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია ორი კვანძი, რომლითაც ქალაქში შესვლა იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, ახალი გზით ქალაქი მაქსიმალურად განიტვირთება. ამჟამად არსებული გზა ტურისტულ და საცხოვრებელ ზონაში გადის. პროექტის განხორციელების შედეგად, ბათუმის შემოვლითი გზა (ქობულეთის შემოვლით გზასთან ერთად) სრულად განტვირთავს მოძრაობას აჭარის საკურორტო ზონაში.

# ქუთაისის აეროპორტი მგზავრთნაკადის ზრდით ევროპაში მოწინავეა!

**ქუთაისის აეროპორტმა ACI (აეროპორტების საერთაშორისო საბჭო) რეიტინგებში მცირე ზომის აეროპორტებიდან საშუალო ზომის აეროპორტებს შორის გადაინაცვლა. 2024 წლის იანვრის მონაცემებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი მგზავრთნაკადის ზრდით ევროპის საშუალო ზომის აეროპორტებს შორის მესამე ადგილზე მოხვდა.**

აეროპორტების საერთაშორისო საბჭოს (ACI International) 2024 წლის იანვრის ანგარიშის თანახმად, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი საშუალო ზომის აეროპორტებს შორის 2019 წელთან შედარებით, მგზავრთნაკადის 171.8%-იანი ზრდის მაჩვენებლით სამარყანდისა და ტირანას აეროპორტების შემდეგ მესამე ადგილზე გავიდა.

ახალი კლასიფიკაციის თანახმად, საუბარია ACI-ის წევრ იმ აეროპორტებზე, რომლებიც წლიურად 1-დან 10 მლნ-მდე მგზავრს ემსახურებიან.

ACI-ის 2023 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტი იმ აეროპორტების გვერდით მოხვდა, რომლებმაც მკვეთრი ზრდა განიცადეს. ყოველწლიურ ანგარიშში ნათქვამია, რომ 2023 წელს ქუთაისის აეროპორტში მგზავრთნაკადი პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 91 %-ით გაიზარდა და ევროპის აეროპორტებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც მცირე აეროპორტებიდან საშუალო აეროპორტების კატეგორიაში გადაინაცვლა.




2023 წლის ჩათვლით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი მცირე ზომის აეროპორტების კატეგორიაში გადიოდა. 2018 წელს დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტი ევროპაში 5 მლნ-მდე მგზავრთნაკადის ზრდით ლიდერი იყო, ხოლო 2019 წელს მეორე ადგილზე მოხვდა.

# ყვარელში წყალმომარაგების სისტემის განახლება მიმდინარეობს

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ყვარელში წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მშენებლობას ახორციელებს.**

მიმდინარე სამუშაოებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი ალექსანდრე თევდორაძე, მისი მოადგილე, აკაკი მშვიდობაძე, სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში გიორგი ალადაშვილი, ყვარლის მერი გივი ზაუტაშვილი და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.

დღეის მდგომარეობით, სამუშაოების 70% უკვე შესრულებულია. პროექტის დასრულება 2024 წლის ბოლოს იგეგმება, რის შედეგადაც, ქ. ყვარლის მოსახლეობა 24-საათიანი, სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. ყვარელში ასევე, მიმდინარეობს პროექტი, რომელიც წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობას გულისხმობს. პროექტს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ჯამურად, 51 მლნ. ლარი მოხმარდება.



# „გადავარჩინოთ ბუნება – საქართველო“!

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება – საქართველო“ ფარგლებში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს ქალაქ ბათუმში ახალი ავტომატური სადგური დაემატა.**

ახალი სადგური გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა ვასილ გედევანიშვილმა და შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ანნა ლიბერგმა გახსნეს. გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოებასა და ამ მიმართულებით ქვეყნის შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობაზე ისაუბრა.





**იაკობ ლეჟავა**

# „ხალხი ამას არ დაუშვებს!..“

## „ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვართ... ნატოსთან“!

### თუ გული გულობს, გამოსავალი მოიძებნება

2022 წლის ივლისში მეხის გავარდნასავით იყო „ქართული ოცნებიდან“ გასული სამი დეპუტატის მიერ ამერიკის ელჩისთვის გაგზავნილი ორი ღია წერილი, რომლებსაც მეც იმედიანად გამოვეხმაურე ჩემი პუბლიკაციით – **„ორი ღია წერილი, რომლებიც მთელ მსოფლიოს თუ არა, საქართველოს ნამდვილად შეძრავს“.**

ამერიკის პოლიტიკის ასეთი მამხილებელი წერილებით მანამდე არავის არ მიუმართავს ელჩისთვის. ამიტომ, ამერიკის პოლიტიკაში ნაკლებად, მაგრამ ქართულ საგარეო პოლიტიკაში კი ნამდვილად ველოდებოდი რაღაც ძვრებს, ცვლილებებს. იმედის მომცემი იყო ის ფაქტი, რომ ამ სამეულს მალევე შეუერთდნენ სხვა დეპუტატებიც და ჩამოყალიბდა საკმაოდ ანგარიშგასაწევი, გამოცდილი და გარკვეული უფლებამოსილების მქონე პოლიტიკოსებისგან შემდგარი მოძრაობა – **„ხალხის ძალა“** (ამჟამად, – ცხრა დეპუტატის და 200-მდე მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრების, თანამდებობის პირების შემადგენლობით), რომელსაც თავისი, სიმართლით გაჯერებული ანტიდასავლური, ანტიამერიკული განცხადებებისთვის საპარლამენტო ტრიბუნაც გაჩნდა. ასეთი მამხილებელი ანალიტიკური განცხადებები, რომლებიც საკმაოდ ბევრი გაკეთდა ამ წლინახევრის მანძილზე, გულს კი ფხანს, მაგრამ რად გინდა – **„ქართულ ოცნებას“ არსებული პოლიტიკური კურსი, სამწუხაროდ, ერთი გრადუსითაც არ შეუცვლია.**

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მოველოდი, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის ბოლო პერიოდში დაწყებული ღირსეული პოლიტიკური განცხადებების ფონზე, საქართველოს მთავრობა პრაგმატული ნაბიჯების გადადგმას გააგრძელებდა, მაგრამ პრემიერის გადაყენებისთანავე თბილისსა და ბრიუსელში გაკეთებულმა განცხადებებმა ჩემს მოლოდინებს წერტილი დაუსვა.

**უკრაინის კატასტროფული ნგრევის შემყურე ხელისუფლებას, რომელიც მაინც ნატოსკენ მოგვიწოდებს და „ასე ახლოს არასდროს ვყოფილვართ ნატოსთანო“, რიხით გვამცნობს ბრიუსელიდან, მგონი, მართლა უხარია ნატოს კარებთან მიახლოება! სრულიად აუხსნელია ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა – თუ არა შიში და მონური მორჩილება, რა აიძულებს ძველებურად „ნატო-ნატოს“ ძახილს, განა ეს, შედეგების მიხედვით, „ევროპა-ევროპას“ ტოლფასი რიტორიკაა? ევროკავშირისკენ საქართველოს სწრაფვის გამო რუსეთი ნამდვილად არ შემოიჭრება ცეცხლით და მახვილით, ის სხვაგვარად, ოღონდ ძალიან მტკივნეულად – ეკონომიკურად დაგვსჯის. აი, ნატოსკენ სწრაფვის გამო კი, ჩვენ გადარწმუნებაში დროს არ დაკარგავს – თვეობით მოლაპარაკებებს არ დაიწყებს არც ნატოსთან და არც – ჩვენთან, მით უფრო, რომ უკრაინაში დაგვიანებული შეჭრა თავის შეცდომად აღიარა პუტინმა ახლახანს. ნუთუ ამის მიხვედრა ასე ძნელია?! აქვე უნდა ითქვას შემდეგი: რუსეთი სხვა მიზეზითაც შეიძლება შემოიჭრას და ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი დასავლეთი მაინც მოახერხებს (შეიარაღებული ამბოხის გზით ან არჩევნების გაყალბებით) აშკარა პროამერიკული და რუსოფობიური, ყველაფერზე წამსვლელი, სააკაშვილის „ნაცმოძრაობის“ ან მისი ტყუპისცალი ძალების მოყვანას ხელისუფლებაში („დაგვიანებულ შეჭრაში“ პუტინი სწორედ იმას გულისხმობს, რომ მან დროულად, „მაიდნამდე“ ან მალევე მის შემდეგ არ მიიღო სათანადო ზომები. მეორეჯერ ასეთ შეცდომას იგი აღარ გაიმეორებს!).**

* * *

**ადრე, სააკაშვილის მხარდამჭერების შემყურე, ვფიქრობდი: ერთი ამათ თავში ჩამახედა, იქ რა ხდება-მეთქი.**

ახლა, ჩემდა სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ლიდერებზე ვამბობ იგივეს! აბა, თავად განსაჯეთ: როდესაც ასეთი ხელჩასაჭიდი, დასავლეთის წინაშე თავის მართლებისთვის გამოსადეგი საუკეთესო მაგალითი გაქვთ უკრაინის დაქცევის სახით და, ამ დროს ნატოს წევრობაზე თავშეკავების ნაცვლად, პირიქით იქცევით – პრონატოური რიტორიკით რუსეთის აშკარა გაღიზიანების გზას ადგიხართ! კოლექტიური დასავლეთი (ევროკავშირი და ნატო) იმას ხომ ვერ გვეტყვის: ნუ გეშინიათ, გარანტიას გაძლევთ რუსეთი თქვენთან არ შემოიჭრება და, თუ ეს მაინც მოხდება, იარაღს არ მოგაკლებთ და თქვენც ვაჟკაცურად შეებრძოლეთ, უკანასკნელ ქართველამდე შეაკვდით რუსეთს, უკრაინელებზე ნაკლები რითი ხართო! ჰოდა, ვინ დაიჯერებს, რომ ამას ვერ ხვდებით, ამას ხომ ბისმარკის შუბლი არ სჭირდება! მაშ, რა გრჯით, ასე თავქუდმოგლეჯილი რატომ მიისწრაფით მოუსავლეთისკენ? ზემოთ ნათქვამს გავიმეორებ: ესაა შიში და მონური მორჩილება! კი მაგრამ, ხალხის რისხვის არ გეშინიათ? ერთი რეფერენდუმიც არ ჩაგიტარებიათ და ასეთი დამღუპველი გადაწყვეტილებების მიღების და ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება ვინ მოგცათ?!




როგორ შეიძლება, ასეთ მნიშვნელოვან, სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს იღებდე – ეკონომიკურ კავშირში და სამხედრო ორგანიზაციაში შეგყავდეს შენი ქვეყანა და, რეფერენდუმს ვინ ჩივის, ხალხს იმასაც კი არ ეუბნებოდე, თუ რა სარგებელს მოველით კონკრეტულად ან ერთისგან, ან მეორისგან, – ეკონომიკურად გავძლიერდებით, ფიზიკურად გავმრავლდებით, ჩვენ მიწაზე დავმაგრდებით, ტერიტორიულად გავმთლიანდებით, ზნეობრივად ავმაღლდებით და გადაჯიშებასაც გადავრჩებით, თუ, – ყველაფერი პირიქით მოხდება და მოგვიწევს დღევანდელი ევროპული „ღირებულებების“ აღიარება და, მათი ყველა ხუშტურის უსიტყვოდ შესრულება (ვაზის აჩეხვიდან დაწყებული სამხედრო „სამშვიდობო“ ოპერაციებში მონაწილეობით დამთავრებული)!!!

**ერთი სიტყვით, კი არ შევყავართ, ნახირივით მიგვერეკებიან!** ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ კოლექტიური დასავლეთი ანუ ევროკავშირი და ნატო (ფაქტობრივად, ამერიკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ერთი გაერთიანება) თავის თავზე არავითარ ვალდებულებას არ იღებს, სამაგიეროდ, ჩვენი მხრიდან შესასრულებელი დავალებები, პუნქტები, გასატარებელი რეფორმები და საკადრო მოთხოვნები არ ელევათ, რას აღარ მოითხოვენ ჩვენგან: გარყვნილება-გადაშენების ხელშემწყობი კანონების მიღებას, ანტიდასავლური წერილების და გადაცემების დაბლოკვას, ცენზურის დაწესებას და მათთვის მიუღებელი განსხვავებული პოზიციის მქონე ტელეარხების დახურვას, კონსერვატული მიმართულების მოძრაობებისთვის ფინანსური, საბანკო პრობლემების შექმნას, მათი სახელის გასატეხად პროპაგანდის გაჩაღებას, დაპატიმრებას და, სასამართლო სისტემაზე კონტროლის დაწესებასაც კი! ყველაფრის ჩამოთვლას აზრი არა აქვს.

ჩვენ კი, თითქმის არაფერს გვეუბნებით იმაზე, თუ რას პასუხობთ ხან 12-პუნქტიან, ხან 9-პუნქტიან და, უხშირესად, უამრავ უპუნქტებო, მაგრამ შესასრულებლად სავალდებულო დავალებების შესახებ.

ახლა, ისევ „ხალხის ძალას“ უნდა მივუბრუნდე. მისი განცხადებებით ობიექტურ ინფორმაციასაც ვიღებთ და ბევრ რამეზე თვალებიც გვეხილება. ერთი სიტყვით, საჭირო საქმიანობას ეწევა, ამიტომ არ შეიძლება, რომ არ მოიწონო. მაგრამ, თანდათან იმაში დავრწმუნდი, რომ ის ტყუპისცალივით ჰგავს „ქართულ ოცნებას“, ოღონდ, თუ ერთი „ნაცმოძრაობას“ აკრიტიკებს და ლანძღავს კიდეც „კულტურულად“, მეორე – კოლექტიურ დასავლეთს აკრიტიკებს. კრიტიკას და მეტსაც – ბრალდებების წაყენებასაც ერთიც იმსახურებს და მეორეც, მაგრამ **სიტყვას თუ საქმე არ მოსდევს, კაპიკია მისი ფასი! გარდა ამისა, – თუ კრიტიკაა, მაშინ მთავარი ადრესატი საკუთარი ხელისუფლება უნდა იყოს! თუ, იქნებ, მას არც ჭირს არაფერი საკრიტიკო და, პირიქით – უნდა ვაქოთ კიდეც?!**

ამასთან დაკავშირებით მინდა შევახსენოთ, **რომ ხელისუფლების ქება ან მისი ლიდერის განდიდება, ხოტბის შესხმა და გამოჩენილი მეფეების გვერდით დაყენება, მაშინაც კი, როცა ის ამას იმსახურებს, არც ერთ სახელმწიფოში და არც ერთ დროში კარგ ტონად არ ითვლებოდა.** როგორც „ქართული ოცნებისგან“ არ გვინახავს სამართლის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯები, ისე – არც „ხალხის ძალას“ დაუსახავს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელი პრაქტიკული გზები, ამის გარეშე კი – **მარტოოდენ მხილებით შემოფარგვლა, თანაც, მხოლოდ(!) გარეშე ძალის,** რომელსაც ვერც ვერაფერს დააკლებ და ვერც შეცვლი, –ცარიელი რიტორიკაა, რომელიც ვირეშმაკურ „ჰაერის გამოშვებადაც“ შეიძლება შეფასდეს!

**თუკი, ასეთი უმარტივესი დასკვნების გამოტანა და, მაშასადამე, ადეკვატური ნაბიჯების გადადგმაც უჭირთ კობახიძეს, ახალ თავდაცვის მინისტრ ჩიქოვანს და მესამეჯერ მობრუნებულ ივანიშვილსაც, მაშინ მართლა წასულია ჩვენი საქმე!..**

მაგრამ, – არა! ოჯახის და ერის გადასარჩენად ბრძოლაში ფარ-ხმალის დაყრა არ ეგების! არის კი გამოსავალი? თუ გული გულობს, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება! მაგრამ, რაც არ უნდა კარგი წინადადება წამოვაყენოთ, თუნდაც ასობით ათასმა ადამიანმა, მილიონმაც (განა, ამდენი ხელმოწერებიც არ შეგვიგროვებია!), მის განსახორციელებლად, პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად, აუცილებელია **ძალაუფლება,** რომლის მოპოვებაც, ანუ არსებულის ჩანაცვლება, როგორც ვიცით, ორი გზით შეიძლება მხოლოდ: ძალადობრივი, რაც არ გვაწყობს, ან – **არჩევნების გზით.** ხელისუფლების ხელთ არსებული ფინანსური შესაძლებლობების, ადმინისტრაციული რესურსების და მედია-საშუალებების გათვალისწინებით, ეს ძალიან, ძალიან ძნელი იქნება, თუმცა, არა შეუძლებელი!

უპირველესად, „ქართული ოცნების“ შეცვლა კი არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ – მის ნაცვლად **ჭეშმარიტად ეროვნული, უფრო გამჭრიახი და გამბედავი ძალების მოყვანა ხელისუფლების სათავეში.**

რა უნდა გაკეთდეს ამ მიზნის მისაღწევად?

ამისთვის წინასაარჩევნო დაპირებებით კი არ უნდა გავაბრუოთ ამომრჩეველი, არამედ **სოკრატეს** მეთოდის გამოყენებით, – მარტივი კითხვების დასმით თავად მივიყვანოთ იგი სწორ პასუხამდე, ანუ სწორი კანდიდატის შერჩევამდე. ამომრჩევლის დასახმარებლად საჭიროა, რომ თითოეულ კითხვას შესაფერისი მოკლე ინფორმაციული მასალა წავუმძღვაროთ. პირველ რიგში, გავაგებინოთ, თუ ვინ ვინ არის, ანუ ვინ უჭერს მხარს რუსეთთან ომს (მეორე ფრონტის გახსნას) და ვინ – მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას; ვინ – ნატოში გაწევრებას და ვინ – ნეიტრალიტეტს, ვინ – სააკაშვილის განთავისუფლებას და ვინ – ნაცრეჟიმის გასამართლებას, ვინ – უკრაინელ ხალხს და ვინ – ზელენსკის ხელისუფლებას და ა.შ. და ა.შ. და ამ გზით გავუადვილოთ ამომრჩეველს სწორი არჩევანის გაკეთება.

სახელმწიფოს ინტერესების და მისი იდენტობის შესანარჩუნებლად მებრძოლი ხალხის შესარჩევად მხოლოდ ე.წ. დემოკრატიული არჩევნები სრულებითაც არ არის საკმარისი, **არჩევნების წესიერად ჩატარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ წესიერ კაცს ავირჩევთ!** არჩევნები არც ადრე ტარდებოდა დიდი დარღვევებით (ნაცებისდროინდელს არ ვგულისხმობ, ცხადია!), მაგრამ უკვე მერამდენედ მაინც **პასიურ და გაუბედავ (მნიშვნელოვანი კანონების მიუღებლობის თვალსაზრისით) პარ-**



**დასასრული. დასაწყისი №29**

**ლამენტს ვიღებთ.** რატომ ხდება ასე, **რატომ ვერ ირჩევს ზრდასრული და საკმაო გამოცდილების მქონე მოსახლეობა მისთვის სასურველ დეპუტატებს ან, თუნდაც, პრეზიდენტს?!** მიუხედავად ჩვენი ტვინების 24-საათიანი გამორეცხვის მცდელობისა, ასე მაინც არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სისტემატურად ვცდებით და მომავალშიც იგივე განმეორდება ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, – **სანამ იარსებებს პარტიული სიები, მანამდე ყოველთვის იქნება შესაძლებელი ბევრი შეუფერებელი კანდიდატის გაყვანა პარლამენტში** (ე.წ. „პარავოზის“ პრინციპით, უმეტესობა – „ზემოდან“ რეკომენდაციების, ზოგიც კი – დიდი ფულის „წყალობით); მეორე მიზეზი **ინფორმაციის დეფიციტია** – ამომრჩეველმა მეტ-ნაკლებად იცის ასარჩევი პირის ბიოგრაფია, განათლების და შრომითი საქმიანობის შესახებაც, მაგრამ **ძალიან ცოტამ თუ იცის მისი კონკრეტული პოზიციის შესახებ პრობლემურ საშინაო თუ საგარეო საკითხებთან დაკავშირებით.**

ამჟამად, ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი არ აქტიურობს, არ მონაწილეობს არჩევნებში. რატომ, საარჩევნო უბანზე მისვლა ეზარება? მიზეზი ის არის, რომ უკვე ბევრმა შეიგნო, – არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში რეალურად ვერაფერს შეცვლის! წარმატების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი ვინმე ქარიზმატული ლიდერი მოგვევლინება უეცრად მხსნელად, მაგრამ თავისით არაფერი არ ხდება, ყველაფერი წინასწარ გაწერილია და, შემთხვევით, ხალხის წიაღში შობილ ლიდერს სახელისუფლებო შეკრულ წრეში ცოცხალი თავით არავინ შეუშვებს. ასეთი, პოტენციურად საშიში კონკურენტის გასანეიტრალებლად ნაცადი და ერთობ ეფექტური მეთოდებია დანერგილი: დისკრედიტაცია-ცილისწამება, მოქრთამვა, დაშინება-შანტაჟი და ფიზიკური ლიკვიდაციაც.

**ეჭვგარეშეა, რომ საკუთარი თავის დასამარცხებელი ანკეტა-კითხვარების შემოღებას არც მთავრობა დაუჭერს მხარს და არც ნაცოპოზიცია და, რაღა თქმა უნდა, – არც ამერიკის ელჩი! პირიქით, – აქტიურადაც შეეწინააღმდეგებიან მას!**

ვინაიდან 2024 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო წესებს არავინ შეცვლის, ამიტომ პარტიული სიის ლიდერი ახლაც ბევრი მოლაყბის შეყვანას შეეცდება პარლამენტში, მაგრამ თუ ყველაფერს სწორად განვახორციელებთ, ხსენებული ინფორმაციის დეფიციტის მაქსიმალურად აღმოფხვრის გზით, უმაქნის პარლამენტართა რაოდენობა მკვეთრად შემცირდება.

მაგრამ, როგორ გინდა ამ მიზნის მიღწევა, როდესაც თითქმის ყველა ტელევიზია და პრესაც ძირითადად ქოცების და ნაცების ხელშია? ცხადია, ამ დავალების შესრულება არ იქნება იოლი, თუმცა ესეც მიღწევადია. ხელისუფლების და ნაცოპოზიციის ამ დიდი უპირატესობის, თითქოსდა, გადაულახავი წინააღმდეგობების დაძლევა შედარებით მცირე დანახარჯითაც შეიძლება – საჭიროა, შემუშავდეს სპეციალური **„კანდიდატის და პარტიის პოზიციის დასადგენი ანკეტა-კითხვარი“**. ეს ანკეტა-კითხვარები უნდა გამოქვეყნდეს პრესაში, დაიბეჭდოს დიდი ტირაჟით და გამოკრული უნდა იყოს საარჩევნო უბნებზეც, რათა კანდიდატების მიერ გაცემული პასუხების გაცნობა ყველას შეეძლოს. ამ ძალზე მარტივი, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები კითხვა-პასუხებით ამომრჩეველი ადვილად გაერკვევა, თუ რომელი პარტია და კანდიდატი რა პოზიციაზე დგას. არჩევნებში გასამარჯვებლად და ქვეყნის ინტერესების დამცველი ადამიანების შესარჩევად მთავარია კანდიდატების პოლიტიკური პოზიციის გამომჟღავნება და, არა ის სამარცხვინო წინასაარჩევნო კამპანია, როდესაც გაჭირვებული ხალხის გულის მოგებას მხოლოდ დაპირებებით ცდილობს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც!

**ეჭვგარეშეა, რომ საკუთარი თავის დასამარცხებელი ანკეტა-კითხვარების შემოღებას არც მთავრობა დაუჭერს მხარს და არც ნაცოპოზიცია და, რაღა თქმა უნდა, – არც ამერიკის ელჩი!** პირიქით, – აქტიურადაც შეეწინააღმდეგებიან მას!

ეს სამუშაო – ანკეტა-კითხვარების შედგენა, თითოეულ კანდიდატზე ინფორმაციის შეგროვება (ინტერვიუების მეშვეობით და უკვე არსებული მასალების მოძიებით) და დიდი ტირაჟით დაბეჭდვაც ახალმა ძალამ, – კონსერვატორების, პატრიოტების და სხვა სახელის მქონე, მაგრამ შინაარსით იგივე მოძრაობების გართიანებამ უნდა აიღოს თავის თავზე. ამ შრომატევად საქმეში დიდი დახმარება შეუძლიათ ჭეშმარიტ ჟურნალისტებს (ასეთებიც მრავლადაა), ვოლონტიორებს და ბიზნესმენებს, ცხადია. განსაკუთრებით უნდა იაქტიუროს თავად ამომრჩეველმაც და მასთან წინასაარჩევნოდ მისულ პოლიტიკოსებს (ყველა პარტიის წარმომადგენელს) ეს კითხვები უნდა დაუსვას. კანდიდატზე, რომელიც თავს აარიდებს კითხვებზე პასუხის გაცემას, ანკეტური მონაცემები მაინც უნდა შეივსოს (უარის თქმაც პასუხია!), შენიშვნების გრაფაში კი – მითითებული უნდა იქნეს მიზეზი, რათა ამომრჩეველმა თავად გადაწყვიტოს – ჩაუთვალოს მიზეზი საპატიოდ და მისცეს ხმა, თუ თავი შეიკავოს. ვფიქრობ, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ **არჩევნებში გამარჯვების შანსი მხოლოდ ურთიერთშეთანხმების, გაერთიანების შემთხვევაში გვექნება!**

სწორად შერჩეული კანდიდატები იმედებს ნაკლებად გაგვიცრუებენ, თუმცა, თავის დაზღვევა მაინც გვმართებს და საჭირო იქნება **მომავალმა პარლამენტმა მიიღოს კანონი, რომლის ძალით შესაძლებელი გახდება პარლამენტში გაპარული ფლიდი, ანუ დემაგოგი დეპუტატების გამოწვევა,** თუკი, რომელიმე მათგანი კითხვარში გაცემულ პასუხებს „დაივიწყებს“ და სულ სხვა პოზიციას დაიკავებს კენჭისყრის დროს. ამ კანონის წყალობით ყოველი დეპუტატი გაუფრთხილდება სადეპუტატო მანდატს და ემახსოვრება ისიც, რომ გაწვევის შემთხვევაში იგი ვერც დეპუტატის პენსიას მიიღებს და ვერც ვერავითარი პრივილეგიებით ისარგებლებს.

**ეს მომავალში, ახლა კი, კარს მომდგარი არჩევნების წინ, არ ღირს ამ კანონის მისაღებად ენერგიის დახარჯვა, მთელი ძალისხმევა უნდა მივმართოთ ანკეტა-კითხვარის ასამოქმედებლად. ანკეტა-კითხვარი მზად უნდა იყოს პარტიული სიების წარდგენიდან მალევე, რისთვისაც საჭიროა, შეძლებისამებრ, შესაბამისი მონაცემების დროული შეგროვება.**

**ამ ანკეტა-კითხვარით** არა მარტო ქვეყნისთვის გამოსადეგი მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევა მოხერხდება, არამედ, რაც უმნიშვნელოვანესია, **უამრავი დემაგოგი პარტიის და პარტიული ლიდერის პოლიტიკური განკითხვის დღეც დადგება (მათი არშეშვებით პარლამენტში!), მათ ვერ უშველის ვერავინ, ვინც არ უნდა შეარჩიონ სიის სათავეში ლიდერის როლში!** ანკეტა-კითხვარზე პასუხები უნდა გასცეს თითოეულმა პარტიამ და ბლოკებად გაერთიანების შემთხვევაში – ბლოკმაც!

**ამომრჩევლის ორიენტირი სწორედ კითხვარზე კანდიდატების მიერ გაცემული პასუხები იქნება!**

**აი, ესეც – „კანდიდატის და პარტიის პოზიციის დასადგენი ანკეტა-კითხვარი“.** ცხადია, ეს არ გახლავთ საბოლოო ვარიანტი, ის კიდეც უნდა დაიხვეწოს, შეივსოს ან შემცირდეს, შეიცვალოს რიგითობა და ა.შ. კითხვარის ფორმა უნდა შეიცავდეს შენიშვნების და პასუხების („დიახ“, „არა“) გრაფას. ანკეტური მონაცემების პუნქტებზე არ ღირს შეჩერება, პირდაპირ კითხვარს შემოგთავაზებთ:

1. რუსეთიდან, სადაც მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს, საქართველოში ყველაზე მეტი ფული შემოდის, ჩვენი სოფლის მეურნეობის თუ სხვა სახის პროდუქცია ყველაზე მეტად ასევე რუსეთში საღდება, დიპლომატიური ურთიერთობა კი 15 წელია, გაწყვეტილი გვაქვს. 30 წელია ევროპა და ამერიკა გვეხმარება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, მაგრამ მათმა „შეშფოთებებმა“ შედეგი არ გამოიღო და ვერც გამოიღებს, რადგანაც საქართველოს გამთლიანების გასაღები რუსეთშია.

**კითხვა: ემხრობით თუ არა რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებას უმაღლეს დონეზე და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას?**

2. უკრაინა დაღუპა „ნატოსკენ“ ლტოლვამ. რუსეთის თხოვნამ, ხელი აეღო ამ განზრახვაზე, შედეგი არ გამოიღო. რუსეთის პრეზიდენტს გაფრთხილებული ვყავართ ჩვენც და მოლდოვაც – არც კი ვიფიქროთ ნატოში გაწევრებაზე, რადგანაც ნატოს რაკეტების განლაგებას თავის საზღვართან ის არაფრით არ დაუშვებს. საქართველოს ხელისუფლება კი სიხარულით გვიცხადებს: „ასე ახლოს ნატოსთან არასოდეს ვყოფილვართო“.

**კითხვა: უკრაინის ბედის შემყურე, წინააღმდეგი ხართ თუ არა ნატოში გაწევრების?**

3. რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%. შევარდნაძესთან ერთად, ამაში ლომის წილი სააკაშვილს მიუძღვის. პირადად მიშას ბრალია ახალგორის რაიონის, კოდორის ხეობის და გარეჯის ერთი ნაწილის დაკარგვა. სააკაშვილის „ნაცმოძრაობის“ რეჟიმს უამრავი და უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი: პატიმრების წამება, გაუსამართლებლად ადამიანების დახოცვა, მშვიდობიანი მოსახლეობის ჩატოვება საომარი მოქმედებების ზონაში, ქონების წართმევა და ბევრი სხვა.

**კითხვა: ემხრობით თუ არა „ნაცმოძრაობის“ გასამართლებას?**

4. მსოფლიოს 30 სახელმწიფოში ამერიკას თავისი ხარჯით აშენებული და გახსნილი აქვს 336(!) საიდუმლო ბიოლაბორატორია, რომლებიც ამერიკის სამხედრო უწყებას – პენტაგონს ემორჩილება. ამ ლაბორატორიებში იქმნება ბიოლოგიური იარაღი (როგორც ჩინეთმა განაცხადა, – პენტაგონმა უკვე შეიმუშავა ისეთი ბიოიარაღი, რომელიც მხოლოდ განსაზღვრული რასის ადამიანებზე იმოქმედებს!). ასეთი ლაბორატორიები თავად ამერიკაში კანონით არის აკრძალული!

**კითხვა: უნდა დაიხუროს თუ არა თბილისის აეროპორტის სიახლოვეს არსებული ე.წ. ლუგარის ბიოლაბორატორია?**

5. ნეოლიბერალების ძალისხმევით მთელ მსოფლიოში კატასტროფულად მატულობს ჰომოსექსუალების, ანუ მამათმავლების და ლესბოსელების რაოდენობა. ამერიკაში მოზრდილთა რაოდენობის 7%-ზე მეტი თავს მამათმავლად მიიჩნევს, 19-26 წლის ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი 19.7%-ია! ჩვენისთანა, გადაშენების პირას მყოფი ერისთვის, ჰომოსექსუალებისთვის ხელის შეწყობა მომაკვდინებელი იქნება!

**კითხვა: ემხრობით თუ არა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის, ლგბტ-აღლუმების და საჯარო გამოსვლების აკრძალვას?**

6. ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები უხვად ფინანსდებიან გარედან და ამ თანხებს უხშირესად კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებენ, მათი გამკითხავი არავინ არის!

**კითხვა: ემხრობით თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების დადგენის და მიღებული თანხების ხარჯვის მართლზომიერების კონტროლის მიზნით შესაბამისი კანონის მიღებას?**

7. სააკაშვილის რეჟიმის დროს ათასობით ადამიანს წაართვეს კუთვნილი ბიზნესი, მიწები, სახლები და სხვა ქონება, რომელთა უმეტესობა პატრონს არ დაბრუნებია.

**კითხვა: ემხრობით თუ არა ბიზნესების (ქონების) წართმევა-განაწილებაში მონაწილე და ბრძანების გამცემი პირების ქონების კონფისკაციას და ამ გზით დაზარალებულთათვის ზარალის ანაზღაურებას?**

8, 9 ,10. ევროკავშირის დროშის დამცავი კანონი გვაქვს. ჩვენი პატრიარქის, ეკლესიის, ქრისტიანების რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი გამოხდომებისგან დამცავი კანონი კი – არა! არ გვაქვს არც ცილისწამებისგან დამცველი კანონი, ხოლო სამშობლოს ღალატის მუხლი ამოღებულია კოდექსიდან!

**კითხვა: ემხრობით თუ არა, რომ მიღებულ იქნეს ეკლესიის და პატრიარქის დამცავი კანონი?**

**კითხვა: ემხრობით თუ არა, რომ მიღებულ იქნეს ცილისწამებისგან დამცავი კანონი?**

**კითხვა: ემხრობით თუ არა, რომ აღდგენილ იქნეს სამშობლოს ღალატის მუხლი?**

11, 12. რუსეთში მცხოვრები მილიონზე მეტი ქართველი ათეულათასობით ოჯახს ინახავს აქ – ყოველთვიურად ასეულმილიონობით დოლარს აგზავნის საქართველოში, რაც, ცხადია, ხელისუფლებისთვისაც უდიდესი დახმარებაა! აი, ასეთ ხალხს პრეზიდენტი უარს ეუბნება უსამართლოდ ჩამორთმეული მოქალაქეობის აღდგენაზე.

**კითხვა: ემხრობით თუ არა, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს მიეცეთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში?**

**კითხვა: უნდა აღუდგეს თუ არა ჩამორთმეული მოქალაქეობა საქართველოდან წასულ ყველა ქართველს, ვინც კი ამას მოისურვებს?**

**კითხვები, რა თქმა უნდა, უკეთესადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს და გაგრძელდეს კიდეც, რადგანაც კანონმდებლობით მოსაგვარებელ პრობლემებს რა გამოლევს, მაგრამ არც გადატვირთვა ივარგებს. მე შევარჩიე თორმეტი, ჩემი აზრით, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა, გაუმჯობესება-სრულყოფა – კონსერვატული ძალებისთვის და მკითხველისთვის მიმინდვია.**




## ამერიკა მხოლოდ 80 მილიონი დოლარით გვეხმარება!

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე 2025 ფინანსური წლის ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდა, სადაც საქართველოს დახმარების სახით, 80 მილიონი დოლარი არის გათვალისწინებული. დოკუმენტი აშშ-ის კონგრესს უკვე წარედგინა.**

როგორც კანონპროექტში წერია, მოთხოვნა საქართველოსთვის მხარს დაუჭერს ქვეყნის დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას, ხელს შეუწყობს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და გააძლიერებს მის მედეგობას მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ.

## არასამთავრობო ორგანიზაციებმა შარშან, შარშანწინ იმედები გაუცრუეს ამერიკას!

საქართველოს პრემიერს **კობახიძეს** კითხვა დაუსვეს: **„რა არის იმის მიზეზი, რომ ამერიკამ რვა მილიონი დოლარით შეამცირა დაფინანსება?“**

**„ვერ გეტყვით, ამ გადაწყვეტილებას იღებს ამერიკის შეერთებული შტატები. იცით, რომ ამ დაფინანსების ძალიან დიდი ნაწილი მიემართება არასამთავრობო ორგანიზაციებზე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა იმედები გაუცრუეს ამერიკის სახელმწიფოს შარშან, შარშანწინ. შეიძლება, ეს გახდა დაფინანსების შემცირების მიზეზი“...**

## ნიკა გვარამია: ...მაშინ სასამართლო, პარლამენტი და მედია დახურული იყო!



**ნიკა გვარამიას მორიგი აღიარება – „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი მაღალჩინოსანი წინა ხელისუფლების მმართველობის სისტემას აკრიტიკებს. ამბობს, რომ წლების წინ სასამართლო, პარლამენტი და მედია დახურული იყო.**

ამ აღიარების ფონზე ნიკა გვარამიას პოლიტიკურ გეგმებს აფასებენ პოლიტიკურ სპექტრში. მმართველი პარტიისთვის გვარამიას აღიარება მორიგი ფარსი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა. ოპოზიციის რიგებში კი ამბობენ, რომ გვარამია, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი სახე იყო, პოლიტიკაში კონკრეტული მიზნით ბრუნდება.



# ტოივო კლაარი: აფხაზეთის მხარდასაჭერად ევროკავშირმა დაახლოებით 180 მლნ ევრო დახარჯა

**„ევროკავშირი 15 წელზე მეტია, აფინანსებს მნიშვნელოვან პროგრამებს აფხაზეთის მოსახლეობის მხარდასაჭერად“,** – ამის შესახებ ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ტოივო კლაარმა გამოცემა JAM news-თან ინტერვიუში განაცხადა.

კლაარმა, კომენტარი გააკეთა კრიტიკაზე, რომელიც იანვარში გამოთქმულ მის მოსაზრებას მოჰყვა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების მხრიდან, მაშინ მან თქვა, რომ ორჯერ უარი უთხრეს რეგიონში სამუშაო ვიზიტებზე.

JAM news-თან საუბრისას კლაარმა აღნიშნა, რომ არ ელოდა, თუ მისი მოსაზრება „ამხელა ინტერესს გამოიწვევდა, განსაკუთრებით აფხაზეთში“:

**„მინდოდა, საჯაროდ მესაუბრა აფხაზეთში წვდომის სირთულეებზე, რომლებიც ახლახან შემექმნა (ეს არ იყო დაკავშირებული ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ვიზიტებთან)... მე მესმის სიტუაციის სირთულე, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე გეოპოლიტიკურ მოვლენებთან. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო ურთიერთქმედების სივრცის შემცირება ან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი ადგილობრივი პარტნიორების საქმიანობის შეზღუდვა – და, შესაბამისად, აფხაზეთში შემოდინებული დახმარებაც – მხოლოდ გაამწვავებს პრობლემებს. ნამდვილად არ ველოდი, რომ ჩემი აზრი ამხელა ინტერესს გამოიწვევდა, განსაკუთრებით აფხაზეთში. ძალიან კარგი იყო იმის დანახვა, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებები და ჩაერთონ საინტერესო დებატებში, განსაკუთრებით სოციალურ მედიაში“.**

ოკუპირებულ აფხაზეთში პროექტების დაფინანსებაზე საუბრისას კლაარმა დასძინა, რომ „ეს ძირითადად ხდება აფხაზეთში მყოფი პარტნიორების მეშვეობით, როგორიცაა გაეროს სააგენტოები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება“:

**„ეს პროგრამები მხარს უჭერს ჯანდაცვის, განათლების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სექტორებს და სხვა. ეს არის ასევე პროექტები დაკარგული ადამიანების მოსაძებნად და ასაფეთქებელი მოწყობილობების გასანეიტრალებლად. 2008 წლიდან სულ დაახლოებით 80 მილიონი ევრო დაიხარჯა მხარდამჭერის პროგრამებზე, ასევე ნდობის აღდგენის ღონისძიებებსა და დიალოგზე. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება ასევე აღვნიშნო დამატებითი თანხა – დაახლოებით 100 მილიონი ევრო, რომელიც ევროკავშირმა სესხებისა და გრანტების სახით გამოსცა ენგურჰესის შეკეთებასა და მოდერნიზაციაზე. ამის გარეშე დღეს აფხაზეთში სინათლე არ იქნებოდა. და სხვათა შორის, სესხებს იხდის ექსკლუზიურად საქართველოს მთავრობა, ანუ ის ასევე დიდად უჭერს მხარს აფხაზეთის ენერგომომარაგებას“.**

სპეციალური წარმომადგენლის თქმით, „ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მრავალი პროექტი და აქტივობა აფხაზეთში მიზნად ისახავს აფხაზური იდენტობის შენარჩუნებას და განვითარებას, განსაკუთრებით აფხაზურ ენას, ისტორიულ არქივებს, კოლხური ხზის და თუნდაც აფხაზური ღვინოების გადარჩენას?.

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. გმობს რუსეთის მხრიდან საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციას და მოუწოდებს სრული დეოკუპაციისკენ.

# ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის სამ „დეპუტატს“ რუსეთის მოქალაქეობას ჩამოართმევენ

**ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის ე.წ. პარლამენტის სამ წევრს: გარი მულდაროვს, დავიდ სანაკოევსა და ძამბოლატ მედოევს შესაძლოა, რუსეთის მოქალაქეობა ჩამოერთვას.** როგორც „რადიო თავისუფლების“ პროგრამა **„ეხო კავკაზა“** იუწყება, დე ფაქტო დეპუტატებმა აღნიშნული ინფორმაცია თავად დაადასტურეს.

როგორც სააგენტო „Cana“ იტყობინება, „დეპუტატებმა“ რუსეთის დაზვერვის ფედერალური სამსახურის 7 თებერვლით დათარიღებული შეტყობინება გასულ კვირაში მიიღეს. მათი თქმით, მიზეზად „რუსეთის საზღვართან დაძაბულობის გაძლიერების მოქმედებები“ სახელდება. რაში მდგომარეობს ეს მოქმედებები, დოკუმენტებში არ არის მითითებული.

**„ცნობილია, რომ გარი მულდაროვი, დავიდ სანაკოევი და ძამბოლატ მედოევი საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის დადგენის იდეის მომხრეები იყვნენ. მულდაროვი სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიას ხელმძღვანელობდა. სანაკოევი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობის გამო ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლომ დაკავების ორდერი გასცა. ორივე დეპუტატი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო“,** – წერს გამოცემა.

**„ამ ინიციატივის მიზეზები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგაა მიმართული, ყველასთვის გაუგებარია. რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობების ფონზე ეს მხოლოდ გაურკვევლობას იწვევს. მე ამას რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დათბობასთან და სამხრეთ ოსეთში ქართველი ლობისტების მუშაობასთან ვაკავშირებ. მე და ჩემი კოლეგები ჩვენს უფლებებს დავიცავთ ყველა კანონიერი გზით და მაქსიმალურად საჯაროდ“,** – განაცხადა სანაკოევმა.

**„სამწუხაროა, რომ ასეთ რთულ დროს ადგილობრივი „პოლიტიკოსები“ მოსკოვს აწვდიან ინფორმაციას, რის საფუძველზეც მიიღება ასეთი ანტირუსული და ანტიოსური გადაწყვეტილებები. სამხრეთ ოსეთი ალბათ რუსეთისთვის ყველაზე ახლო და მეგობრული სახელმწიფოა. ნათელია, რა დასკვნას გამოიტანენ საპარლამენტო დეპუტატებისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის მცდელობიდან – რომ რუსეთი ტოვებს თავის მეგობრებს და პარტნიორებს. არ ვიცი რით ხელმძღვანელობდნენ ამ პროვოკაციის ორგანიზატორები, მაგრამ მოქმედებენ მხოლოდ საქართველოს და მისი დასავლელი კურატორების სასარგებლოდ“,** – განაცხადა მულდაროვმა.

**„ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა: სპეციალური სამხედრო ოპერაციისას (ასე უწოდებს რუსეთი ომს უკრაინაში. ავტ.) ეს ყველაფერი კეთდება ხალხის მიერ, რომელსაც სურს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის განხეთქილება გამოიწვიოს“,** – განაცხადა მედოევმა.

# უილიამ ბერნსი: დამატებითი დახმარების გარეშე წელს უფრო მეტ ავდეევკას ვნახავთ უკრაინაში...



**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა, უილიამ ბერნსმა განაცხადა, რომ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების მიწოდებაზე უარის თქმამ, შესაძლოა, წელს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკარგი გამოიწვიოს.**

ბერნსმა აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტში გამართულ მოსმენაზე აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ უკრაინას მეათე ვიზიტით ეწვია. როგორც ბერნსი აცხადებს, დამატებითი დახმარებით უკრაინა შეძლებს ფრონტზე პოზიციების გამყარებას 2024 წლის ბოლომდე და მომავალი წლის დასაწყისამდე, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, მოლაპარაკებები უფრო მყარი პოზიციიდან აწარმოოს.





# იენს სტოლტენბერგი: ახლა უკრაინელების დანებებაზე საუბრის დრო არ არის...

ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი** რომის პაპის **ფრანცისკეს** განცხადებას გამოეხმაურა.

**„თუ ჩვენ გვსურს, მივაღწიოთ გრძელვადიან სამშვიდობო გადაწყვეტილებას მოლაპარაკებების გზით, მისკენ გზა უკრაინის სამხედრო მხარდაჭერაზე გადის“,** – ამბობს სტოლტენბერგი. როგორც ნატოს გენერალური მდივანი აღნიშნავს, რაც მოლაპარაკებების მაგიდასთან ხდება, განუყოფლად არის დაკავშირებული ბრძოლის ველზე სიძლიერესთან.

**„ახლა უკრაინელების დანებებაზე საუბრის დრო არ არის. ეს იქნება ტრაგედია უკრაინელებისთვის. ეს ასევე საშიში იქნება ყველა ჩვენგანისთვის“,** – ასე უპასუხა სტოლტენბერგმა ჟურნალისტის კითხვას, ნიშნავდა თუ არა მისი რეაქცია იმას, რომ ახლა „თეთრ დროშაზე“ საუბრის დრო არ იყო.

# ნატოს წევრი ქვეყნები თავდაცვაზე გადადიან



**პოლონეთის პრეზიდენტის, ანჯეი დუდას განცხადებით, აშშ-ში ვიზიტის დროს აპირებს, ახალი ინიციატივით გამოვიდეს, რომ ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის არა ორი, არამედ სამი პროცენტი დახარჯონ.**

ანჯეი დუდას თქმით, 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრამ ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის წევრებისთვის თავდაცვა უმთავრეს პრიორიტეტად აქცია და პოლონეთი მშპ-ის დაახლოებით 4%-ს ხარჯავს თავისი შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე.

მისი თქმით, ნატოს პასუხი რუსეთისადმი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ უნდა იყოს „მკაფიო და თამამი“.

# უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში ვატიკანის წარმომადგენელი დაიბარეს

**გამოძახების მიზეზი სწორედ რომის პაპის მიერ უკრაინის შესახებ გაკეთებული განცხადებაა. საგარეო საქმეთა სამინისტროში ვიზიტის დროს ელჩს შეატყობინეს, რომ უკრაინაში იმედგაცრუებულები არიან პაპის სიტყვებით, განსაკუთრებით კი „თეთრი დროშის“ აღმართვასთან დაკავშირებით.**

სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ კიევი რომის პაპისგან ელოდება ისეთ განცხადებებს, რომლებიც მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებებს გაერთიანებისკენ, რათა შეძლონ ბოროტებაზე სიკეთით გამარჯვება.

უწყების ცნობით, უკრაინაში ვატიკანის ელჩს კიდევ ერთხელ შეახსენეს „მშვიდობის ფორმულა“ და უკრაინის სურვილი, მიაღწიოს მშვიდობას, რომელიც სამართლიანი და გაეროს წესდების პრინციპებზე დაფუძნებული უნდა იყოს.

# ამსტერდამში ისრაელის პრეზიდენტს საპროტესტო აქციებით დახვდნენ

**ისრაელის პრეზიდენტის ვიზიტს ამსტერდამში, ახალგახსნილ ჰოლოკოსტის მუზეუმში საპროტესტო აქციები მოჰყვა. როგორც „პოლიტიკო“ წერს, ნიდერლანდების დედაქალაქში ჰოლოკოსტის ეროვნული მუზეუმის გახსნის ცერემონიალზე იცხაკ ჰერცოგის დასწრებას ის ადამიანები აპროტესტებდნენ, რომლებიც ღაზის სექტორში ისრაელის სამხედრო მოქმედებებს ეწინააღმდეგებიან.**





„ასოშიეთედ პრესის“ ცნობით, დემონსტრანტებს, რომლებიც ვატერლოოს მოედანზე შეიკრიბნენ, პალესტინის დროშები ეჭირათ და ღაზის სექტორში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითხოვდნენ. ჰოლოკოსტის მუზეუმის გახსნაში მონაწილეობდა ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი მარკ რუტე და ნიდერლანდების მონარქი ვილემ-ალექსანდერი, რომელიც მანამდე სინაგოგაში სიტყვით გამოვიდა და ანტისემიტიზმის პრევენციის აუცილებლობაზე ისაუბრა.




# მუცო კვლავ ელის შეთეკაურებს!

**სტრაბონის გადმოცემით ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე საქართველოს მთიანეთი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. როგორც ქართული მითოლოგიით მტკიცდება, ჩვენი წინაპრები წარმართები ყოფილან და უპირატესად მთვარესა და მზეს ეთაყვანებოდნენ, მაგრამ IV საუკუნის გარიჟრაჟზე, კერძოდ 311 წელს მთაში გამოჩნდა ბერძენი მისიონერი ათინოგენი, თავისი 10 მოწაფით, რომლის ქადაგებამაც მკვეთრად შეცვალა მთიელთა სარწმუნოებრივი შეხედულება. ეტყობა მისიონერი, რაღაც მაგიურ ძალას ფლობდა, რომ ფხოვმა მისი ქადაგება მიიღო და დღესასწაულიც კი დააწესა „ათენგენობა“. ამ დროიდან მოყოლებული მტკიცდებოდა ქრისტიანობა, თუმცა წარმართობის გარკვეული ელემენტები დღესაც ძლიერადაა ფესვგადგმული მთიელთა რწმენაში.**

თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს: **„დიდოელები სრულიად ველურები არიან, მაგრამ ფხოველნიც ძალიან შორს არ გასცილებიან პირველყოფილს მდგომარეობას, გარეგნობით აქვთ შეთვისებული სარწმუნოება „ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენ“-ო.**

იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს; **„ამათ უკვე ჟამთა, რაღაც მიზეზების გამო, იწყეს მთელთა განდგომად, კაცთა ფხოელთა და დიდოთა“. თამარმა მათი დამორჩილება საქართველოს უპირველეს მთავარსარდალს ივანე ათაბაგს მიანდო. განდგომილთ მიუვალი ადგილები ეჭირათ, მაგრამ „ივანემ გონივრად ყო“. „ავიდა მთასა ხადისასა და წარვლო წვერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა“. და იწყო „ზევიდან ბრძოლა“. საქართველოს უპორველეს სარდალს სამი თვე დასჭირდა აჯანყებულთა დამორჩილებისთვის, ივნისი, ივლისი და აგვისტო. „მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდოი და ფხოი“. აჯანყებულებმა „შეიწროებულთა“ ზავი ითხოვეს „მოსცეს მძევლები და აღუთქვეს მსახურება და ხარაჯა და პირი სიმტკიცისა“.**

**„და ჰრქვა ივანე ათაბაგმან მეფესა თამარს: ჰოი, ძლიერო მეფეო, იქმნა ბრძანება შენი და მოვაოხრენ ურჩნი ბრძანებისა შენისანი დიდოეთი და ფხოელნი“!..**

აი, ამ ფხოველთა შთამომავლები არიან შეთეკაურები, ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი გვარი პირიქითა ხევსურეთში. წერა-კითხვის უცოდინარობისა და ქვეყნის ძირითად ნაწილთან მოწყვეტილობის გამო, წერილობითი რაიმე ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ჩვენ წინაპართა ნიჭიერებამ და შთამომავლობაზე გადაცემის ვალდებულებამ, რამდენიმე საუკუნის ამბები მაინც შემოინახა.

გვარის გენეოლოგიით სერიოზულად 1975 წლიდან დავინტერესდი. შევხვდი გვარის უხუცესებს ხონისჭალაში, გარდაბნის რაიონის სოფ. გამარჯვებაში (ძალით გადმოსახლებულებს 1950-იან წლებში), თიანეთში, ახმეტაში. შედეგად თითქმის ზუსტად აღვადგინე ბოლო 300 წლის ისტორია და ზოგი რამ უფრო ძველიც.

ამჟამად საქართველოში ცხოვრობს შეთეკაურთა 72 ოჯახი. აქედან 3 ოჯახი ხევსურიშვილის გვარით. სულ 309 სული, აქედან 164 კაცი და 145 ქალი.

* * *

**შეთეკაურთა ფუძე დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუცოშია.** მუცო კაცობრიობის მიერ შექმნილ საოცრებათაგან ერთ-ერთია. ფრიალო კლდის ქიმეზე, არწივის ბუდესავით წამოსკუპულან 3-4-სართულიანი კოშკები. კედლები სიპი ქვითაა ნაგები, მშრალად. მაგალითად, ვიცით, რომ ჩოლაყას კოშკი 500 წელზე მეტი ხნისაა, ხოლო თორღვას ციხე XVIII საუკუნის 30-იან წლებშია აშენებული. **მუცო იმდენად მიუდგომელი ციხე-სიმაგრეა, რომ არა თუ მაშინ, თანამედროვე ალპინისტური მოწყობილობებითაც კი წარმოუდგენელია იქ მოხვედრა. ამიტომაცაა, რომ მტერს ფეხი არასოდეს დაუდგამს. ეს მხარე აბსოლუტურად შეუსწავლელია. ერთადერთი სერიოზული მკვლევარი, ვინც მუცოში ფეხი დაადგა, ბატონი აკაკი შანიძე ბრძანდებოდა. 1913 წელს ხევსურეთიდან არდოტის გავლით თუშეთში გადასულა. ბატონი აკაკი ბრძანებს: ეტყობა ლეკიანობისგან შეწუხებული მოსახლეობა კახეთში გადასახლდა, რადგან მუცოში მხოლოდ ერთი ქისტის ოჯახი ცხოვრობს, გვარად ბორჩაძეო. სინამდვილეში, მუცოს კოშკებიდან, ხალხი სწორედ ლეკიანობის საფრთხის მოხსნის შემდეგ, დაახლოებით 1870-იან წლებში გამოვიდა და არა კახეთში, არამედ უფრო ჩრდილოეთით, თებულოს კალთებისაკენ აინაცვლა, უკეთესი სახნავ-სათიბი ადგილებისა და ქარისაგან დაცულ მყუდრო ადგილებისაკენ.**

ეს კუთხე არ შეუსწავლია არც ბატონ სერგი მაკალათიას. რაც იქიდან ჩანს, რომ მის „ხევსურეთიში“ მდინარეთა სახელებიც არასწორად აქვს ნახსენები, ხოლო საკმაოდ წყალუხვი ხონის წყალი საერთოდ არ აქვს დადასტურებული. გარდა ამისა, სწორფრობის წეს-ჩვეულება პირაქეთი ხევსურეთისა და არხოტის თემის მაგალითზე აქვს განზოგადებული. სინამდვილეში კი, მიღმახევში (პირიქითა ხევსურეთის უკიდურესი ჩრდილოეთი მხარე) მსგავსი რამე არასოდეს არაფერი ყოფილა. და კიდევ, ბატონი სერგი ბრძანებს: „ხევსურეთში ლხინი და ცეკვა-თამაში არ იციან, აქ არ შევხვდებით არც მთიულურ ტაშ-ფანდურას და არც ქალ-ვაჟების ცეკვაში გაჯიბრებასო.“ სინამდვილეში, მუცოს თემის სამივე გვარი: შეთეკაურები, ჭინჭარაულები და დაიაურები პროფესიულ დონეზე ცეკვავენ. ცეკვავს ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ცეკვავენ დაღლაზე, ვინ ვის დაღლის. ცეკვის დროს იყენებენ როგორც ქართულ, ისე ქისტურ ილეთებს. საკრავი ინსტრუმენტია ფანდური და ჭიანური, ბოლო დროს გარმონი და ბალალაიკაც.

ყველაზე ძველი აღწერა ეკუთვნის დავით ბატონიშვილს, რომელსაც ხევსურეთის სოფლები აღუწერია 1789 წელს და სადაც მუცო მოხსენიებულია, როგორც სადედოფლო სოფლად. შემდეგი აღწერა ეკუთვნის იოანე ბატონიშვილს გიორგი XII-ს ძეს 1794-1799 წ.წ, რომელიც ბრძანებს: ქვემო ხევსურეთი 6 სოფელი (ალბათ პირაქეთი ხევსურეთი) და დიდი ხევსურეთი არხოტის ჩათვლით 2000 ოჯახი. თუ ჩავთვლით, რომ ხევსურული ოჯახები, როგორც წესი, მრავალშვილიანი იყო, მინიმუმ 6 სული მაინც. იმ დროისათვის ხევსურეთის მოსახლეობა ყოფილა მინიმუმ 15 ათასი კაცი. შემდეგი აღწერა უკვე მეფის რუსეთს ჩაუტარებია 1873 წელს და საერთო სიითი რაოდენობა ყოფილა 4867 კაცი. მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოწვეული უნდა იყოს „ჟამიანობის“ (შავი ჭირის) გამო. როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიაში 1812-1815 წლებში ამ სენმა



მოსახლეობის ნახევარზე მეტი იმსხვერპლა და ეტყობა არც ხევსურეთისთვის დაუკლია ხელი, რისი მოწმობაცაა მუცოსა და ანატორის აკლდამები. გადმოცემით სოფ. ანატორში მხოლოდ ერთი კაცი გადარჩენილა. შემდეგი აღწერით 1926 წელს ხალხის რაოდენობაა 3472 კაცი. ეს შემცირება მიგრაციის შედეგი უნდა იყოს.

შეთეკაურების გვარი ჯიშიან გვარად ითვლება. მიუხედავად გვარის სიმცირისა, გვყავდა და გვყავს სასახელო წარმომადგენლები. მთელ პირიქითა ხევსურეთში და ქისტეთში განთქმული ხევისბერი როსტომ შეთეკაური; ცნობილი მონადირე, სანადირო შაშხანის სამჯერ დამმარხავი (ასი ჯიხვის მოკვლის შემდეგ, სანადირო თოფი მიწაში უნდა დამარხულიყო) ტოლხა შეთეკაური; საქართველოს და სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი, პოეტი გიორგი შეთეკაური; მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოში და სამბოში, სპორტის ოსტატი თემურ შეთეკაური; სპორტის ოსტატები კრივში დიმიტრი, ვეფხია და ლერი შეთეკაურები; ქორეოგრაფი და პოეტი მოსე შეთეკაური; ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი შამილ შეთეკაური; ინჟინერი, სსრკ მანქანათმშენებლობის დარგის საუკეთესო გამომგონებელი ბეისახურ შეთეკაური; გვყავს დამსახურებული ისტორიკოსები, მხატვრები, ინჟინრები, მედიცინის მუშაკები, იურისტები, ფილოლოგები. იშვიათია ოჯახი, ერთი უმაღლესდამთავრებული მაინც არ იყოს. დედით შეთეკაური იყო სახალხო გმირი თორღვა.

გვყავს გვარიდან გასული მამიშვილობები. ასეთებია: უზღარაულები, ცუცქიაურები, თალაურები, ჩოლაყაშვილები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩოლაყაშვილთა დამსახურება საქართველოსა და განსაკუთრებით კახეთის ისტორიაში.

გადმოცემის თანახმად, მუცოში გამოუვლია მეფის ამალას. ამალა დაბლა დაბანაკებულა, თვით მეფე კი რამდენიმე მხლებლით, კოშკებში აბრძანებულა. მეფეს, ბროლისკალოს წმინდა გიორგის სალოცავისთვის თასის შეწირვა მოუსურვებია და უთხოვია, ვინმე ჩასულიყო ამალასთან თასის ამოსატანად. იქვე მდგარი ჩოლაყა, მკვირცხლად შემჯდარა ჯორზე პირუკუღმა და ჭენებით დაშვებულა კლდოვან ციცაბოზე. მეფე და მისი მხლებლები ძალიან გაოცებულან. დაბრუნებული ჩოლაყასთვის მეფეს უკითხავს, პირუკუ რატომ შეჯექიო? აბა ზურგს ხომ არ შეგაქცევდი, მეფევ ბატონოო, უპასუხია ჩოლაყას. მეფეს ძალიან მოსწონებია მისი სიტყვა-პასუხიც და სიჩაუქეც და უთხოვია, ამალაში გაყოლოდა, რაც ჩოლაყას სურვილიც ყოფილა. აქედან წამოვიდა ჩოლაყაშვილთა სახელოვანი გვარი, ხოლო მუცოში რესტავრაციის დაწყებამდე უტყვ მოწმედ იდგა გუმბათგამოცლილი ჩოლაყას კოშკი. ამჟამად რესტავრაცია შეჩერებულია.

ამ გადმოცემის სისწორეს ადასტურებს მრავალი დოკუმენტური მასალა, განსაკუთრებით კი ქართველი დიპლომატიისა და საეკლესიო მოღვაწის ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბახი-ჩოლაყაშვილის ავტობიოგრაფიული მონაცემები, რომელიც გამოქვეყნებულია გულჩინა აკოფაშვილის სამეცნიერო ნაშრომში „ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი-ნიკიფორე ირბახი“. (გამომცემლობა „მეცნიერება“ 1977 წ.) სადაც ვკითხულობთ: „XV საუკუნის შუახანებში, როდესაც, როგორც ვარაუდობენ ჩოლაყაშვილთა წინაპარი (სახელად ჩოლაყა) მთიდან ბარს ჩამოვიდა, მეფემ ის დასვა ირუბაქიძეთა ამოწყვეტილ მამულზე. XVI საუკუნის დამდეგს ჩოლაყას შთამომავალი, მეფის სახლთუხუცესი ბეენა იწოდება ირუბაქიძედ, ანდა ზოგჯერ ირუბაქიძე-ჩოლაყაშვილად. საფიქრებელია, მათი, როგორც ფეოდალების მდგომარეობის განმტკიცება-გაძლიერების შემდეგ, ამ სახლის წევრები უკუაგდებენ დროთა ვითარებაში შეძენილ გვარ-სახელს ირუბაქიძეს და უბრალოდ ჩოლაყაშვილებად იწოდებიან.“ ამ დროიდან მოყოლებული შეთეკაურთა ეს გენეტიკური შტო მუდმივად წამყვან პოზიციებზე ინაცვლებს საქართველოსა და განსაკუთრებით კახეთის ისტორიაში. როგორც ზემოთაც ითქვა, XVI საუკუნის დასაწყისში ბეენა ჩოლაყაშვილი გვევლინება კახეთის მეფეების ალექსანდრე პირველისა და გიორგი II-ის სახლთუხუცესად. მის ქალიშვილს ელენეს, ცოლად ირთავს გიორგი II, რომელთა ერთადერთი ვაჟი ლევანი 1518 წელს კახეთის მეფე ხდება.

პლატონ იოსელიანს წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, ჩამოთვლილი ყავს კახეთის მოურავები: ერთი დავით ჩოლოყაშვილი – ვეფხვის ციხის მოურავი და ოთხი ჩოლაყაშვილი: თადია – საგარეჯოს მოურავი, დიმიტრი – თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მოურავი, დურმიშხანი – პანკისის, ბახტრიონის, თუშეთის მოურავი, ნიკოლოზი – ლალისყურის მოურავი. იქვე ნახსენებია ნიახურას ომის გმირები – გიორგი და დიმიტრი ჩოლაყაშვილები.

ის გარემოება, რომ პლატონ იოსელიანს მოურავებში მოხსენიებული ჰყავს ჩოლოყაშვილისა და ჩოლაყაშვილის გვარებით, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ეს ორი გვარი საერთოდაც არ ენათესავებოდნენ ერთმანეთს. თუმცა XIX საუკუნიდან უკვე, მხოლოდ ჩოლოყაშვილად იწერებიან.

ცნობილი ხევსურეთის აჯანყება მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავისიანად თვლიდნენ.

ამჟამად მუცო ფაქტიურად დაცლილია, აღარც შეთეკაურები, აღარც ჭინჭარაულები და აღარც დაიაურები, გარდა ერთი ოჯახისა, აღარ ცხოვრობენ. ხონისჭალაში კი დღეის მდგომარეობით, ზამთარი მხოლოდ შეთეკაურის ხუთმა ოჯახმა გაატარა. საქართველოს ეს უკიდურესი ჩრდილოეთის საზღვარი, ამ ერთი მუჭა ხალხმა XXI საუკუნემდე შეინახა და ახლა უშუქობისა და უგზოობის გამო შეიძლება გადამთიელი დაეპატრონოს. აღსანიშნავია, რომ დღეით არ არის უზრუნველყოფილი სოფლები, სადაც მდინარეების ზათქის გამო, ყურთასმენა არაა.

მართალია, სოფლები დაიცალა, მაგრამ მამა-პაპათა საფლავები და სალოცავები გვიხმობენ და შეთეკაურთა გვარიც ყოველი წლის ივლისის ბოლო ხუთშაბათს არჭეხისა და ხონისგორის მთავარანგელოზის, ხოლო პარასკევს მუცოს წმინდა გიორგის სალოცავის მოსალოცად მიემართებიან და სწორედ იქ ხდება საერთო კრების ჩატარება და გვარის ავ-კარგზე მსჯელობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს პატრიარქმა 2010 წლის 29 აგვისტოს გვარი დალოცა.

თუ მოისურვებენ და გამოგვეხმაურებიან, სიამოვნებით ვუმასპინძლებთ ჩვენს გენეტიკურ და-ძმებს: ჩოლაყაშვილებს, უზღარაულებს, ცუცქიაურებს, თალაურებს.

**ბესიკ შეთეკაური,**
**შეთეკაურთა გვარის წინამძღოლი.**

## მუცოლეში

შეთეკაურები, ჭინჭარაულები,
დაიაურები,
მუცოში ამ სამ გვარს უცხოვრია,
მათ ფარებს, ნახირს და ცხენ-ჯორებს,
ქისტეთის საზღვარზე უძოვნია.
ბევრჯერ სექტემბერშიც ჩაკეტილან,
ბევრჯერ მაისშიც უთოვია,
ერთურთის თანადგომით გადამრჩალან,
შველა არვისთვის უთხოვიათ.
ყველა მოცეკვავე, მომღერალი, მელექსე,
ერთურთის ნამდვილი მეგობრები,
მტერთან გულუძვრელნი, უშიშარნი,
ომებში გაწრთვნილი მეკოპრენი.
ქალებიც ყოლიათ ლამაზები,
მზეზე მაფიცარნი, ძმებით,
ტურფათ ამშვენებდათ მანდილ-სათაურა,
შუბლზე წაკვრეცილი თმები.
ნამდვილი ღვთაებრივი ამორძლები,
უფლისწულთ აღაგზნებდნენ ვნებით,
დედოფლის გვირგვინიც მოურგიათ,
უფლის და განგების ნებით.
გავიდა ჟამი და მთა დაიცალა,
აღარვინ დარჩენილა ნაჭრელას მკეთებელი,
აღარც ვაჟკაცები გულოვანი,
მტრისთვის ხმალ-შუბის მკვეთებელი.
დგანან კოშკები მდუმარენი,
პატრონად არვინ დარჩენილა,
უკვე ორასი წელი ხდება,
აქ ბავშვი აღარ გაჩენილა
ბარიდან ჩამოსული ხევისბერი,
საზღვნელს, ხმის გატევით აღარ ხუცობს,
ბავშვების ჟრიამული მოენატრა,
ხალხი მოენატრა ბებერ მუცოს.

**ბესიკ შეთეკაური**



ინტერვიუ

# კახა კალაძე „მილანზე“, კარიერაზე, კვარაცხელიასა და სხვა თემებზე

**საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა და ამჟამად თბილისის მერმა კახა კალაძემ Radio Serie A-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა.**

**ჟურნალისტი ალესანდრო ალჩატო ყოველ კვირაში ვეტერან ფეხბურთელებს ხვდება და ამჯერად ის თბილისს ეწვია, სადაც კალაძეს შეხვდა და ბევრ საკითხზე ისაუბრეს.**

**ჩემი კარიერის დავიწყება შეუძლებელია. ბედნიერი და ღმერთის მადლობელი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა „მილანში“ მეთამაშა და ყველაფერი მომეგო, რისი მოგებაც შემეძლო. ამით ძალიან ვამაყობ.**

ბავშვობიდან მიყვარდა ფეხბურთი. მამაჩემიც ფეხბურთელი იყო. როცა პატარა ვიყავი დავდიოდი სტადიონზე, ვუყურებდი ჩემი ქალაქის, სამტრედიას თამაშებს. შემდეგ ფეხბურთზე სიარულიც დავიწყე. მერე გადავედი საქართველოს ყველაზე პოპულარულ გუნდში, „დინამო თბილისში“, სადაც 16 წლის ასაკში მქონდა დებიუტი და იქიდან დაიწყო ჩემი საფეხბურთო კარიერა.

ბავშვობაში ჩემი კუმირები იყვნენ მარადონა და პაოლო მალდინი. პაოლოს პოსტერი ოთახში მქონდა, მის თამაშებს ბავშვობიდან ვუყურებდი. ცოტა ხნის წინ მილანში ვიყავი და ამაზე პაოლოსაც ველაპარაკე. შემდეგ ღმერთმა მომცა შესაძლებლობა პაოლოსთან ერთად მეთამაშა, ეს დიდებული რამეა, არა მარტო ვითამაშე მასთან ერთად, არამედ, როგორც ვთქვი, ყველაფერი მოვიგე.

როცა პატარა ვიყავი, ყოველთვის მინდოდა ფეხბურთელობა. ბევრი ვიმუშავე, შეიძლება, ვიღაც რომ უყურებს „მილანის“ ფეხბურთელს, არ იცის, რამდენი შრომა, რამდენი სირთულეა ამ ყველაფრის უკან, ეს ნორმალურია. ძალიან პატარა ქალაქში, სამტრედიაში დავიბადე და არავის შეეძლო წარმოდგენა, რომ კალაძე ერთ დღეს „მილანში“ ითამაშებდა. მეტიც, გეტყვით, რომ როცა პატარა ვიყავი, სამტრედიაში მწვრთნელმა მითხრა, რომ ფეხბურთს ვერ ვითამაშებდი. ამან დიდი სტიმული მომცა, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ასე არ იყო და მუშაობით, ძლიერი ხასიათით შევძელი. ამ ადამიანის მადლობელი ვარ, როცა სახლში, სამტრედიაში ვბრუნდები მას მადლობას ვეუბნები, რადგან მან დიდი სტიმული მომცა, როცა გუნდიდან გამიშვა და მითხრა, რომ ფეხბურთელი ვერ გავხდებოდი.

90-იანები წლები ძალიან რთული იყო, რადგან საბჭოთა კავშირის შემდეგ საქართველო, უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ. არ იყო ელექტროენერგია, არ იყო გაზი, საჭმლის ყიდვაც ძალიან ჭირდა, საშინელი პერიოდი იყო. საქართველოში გვქონდა ომები, ძალიან ცუდი პერიოდი გავიარეთ. ახლა, როცა ამ პერიოდზე ჩემს შვილებს ვუყვები, ვერ იჯერებენ, ვერ ახერხებენ წარმოდგენას, რომ საქართველოში ასეთი წლები იყო. თუმცა, ნაბიჯ-ნაბიჯ ქვეყანა განვითარდა. როცა ქვეყანაში ეკონომიკურად რთული პერიოდია, ხალხი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გამოიკვებოს, რა გააკეთონ შვილებისთვის, ოჯახებისთვის, ფეხბურთზე ფიქრი რთულია, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ერთადერთი გზა ამ საშინელი სიტუაციიდან გამოსავალი იყო ფეხბურთელი გავმხდარიყავი, რათა ჩემს ოჯახს და ახლობლებს დავხმარებოდი. ეს არის სიმართლე, ნამდვილად ძალიან რთული წლები იყო. ჩემი შვილებიც ნელ-ნელა იგებენ იმ დროს, იცით, როცა ბებია და ბაბუა მიყვებოდნენ 40-იანი წლების შესახებ, მეც მიჭირდა წარმოდგენა, ჩემი შვილების შემთხვევაშიც იგივეა, ამიტომ, უჭირთ 90-იანები წლების წარმოდგენა.

შევჩენკოსთან ერთად კიევის „დინამოში“ კარგი სეზონები მქონდა. უძლიერესი გუნდი გვყავდა, მწვრთნელი იყო ვალერი ლობანოვსკი, ერთ-ერთი საუკეთესო. „მილანში“ ჯერ შევა გადავიდა, ყველა აკვირდებოდა, როგორ ითამაშებდა ის იტალიაში, რადგან მანამდეც სერია „ა“-ში სხვა ფეხბურთელები წავიდნენ, მიხაილიჩენკო, ზავაროვი, ალეინიკოვი, ამიტომ ყველა ელოდებოდა შევას, როგორ ითამაშებდა „მილანში“. მან პირველივე სეზონში ბევრი გოლი გაიტანა, ბომბარდირი გახდა, ხოლო წელიწადნახევრის შემდეგ „მილანმა“ მეც წამიყვანა.

უნდა ვთქვა, რომ „მილანში“ წასვლამდე „ბაიერნში“ შეიძლებოდა გადავსულიყავი. მიუნხენშიც ჩავედი, რუმენიგესთან ვისაუბრე, შეთანხმება ყველაფერზე მიღწეული იყო, კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა. შემდეგ, როცა კიევში დავბრუნდი, გუნდი მოსკოვში წავედით ზამთრის ტურნირზე, სადაც რეზო ჭოხონელიძემ მითხრა, რომ მილანში უნდა წავსულიყავით და კონტრაქტი გაგვეფორმებინა. ველაპარაკე პრეზიდენტ სურკისს, რომელმაც მითხრა, რომ შეთანხმება არსებობდა გალიანისთან და კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა. წავედი და „მილანთან“ 5-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ მქონდა ეს შესაძლებლობა უდიდესი ისტორიის გუნდში მეთამაშა.

„მილანში“ 9 ლამაზი წელი გავატარე. იყო რთული პერიოდებიც, მქონდა ტრავმებიც, მაგრამ ეს ფეხბურთის ნაწილია. საბოლოო ჯამში, ყველაფერი მოვიგე, ორჯერ ჩემპიონთა ლიგა, სკუდეტო, იტალიის თასი, ევროპის სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი, პრაქტიკულად ყველაფერი მოვიგეთ. ეს იყო ოჯახივით გუნდი, რომელსაც დიდი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ჰყავდა.

ყველაზე დაუვიწყარი გამარჯვება 2003 წელს მოგებული ჩემპიონთა ლიგის ფინალია „იუვენტუსის“ წინააღმდეგ. საუკეთესო თანაგუნდელი ჩემი აზრით, პაოლო მალდინი იყო, გარდა იმისა, რომ დიდებული ფეხბურთელი იყო, შესანიშნავი ადამიანია. თუმცა ყველა ძალიან კარგი იყო, ბევრთან დღემდე ვმეგობრობ, როცა მილანში ჩავდივარ, ერთმანეთს ვხვდებით, ვახშამზე მივდივართ. ის „მილანი“ იყო ნამდვილი ოჯახი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთში.

გატუზო მაგარი ადამიანია, ყოველთვის ვეხუმრებოდი და ძალიან ბრაზდებოდა. მას პირლოც აგიჟებდა, ყოველ საღამოს ერთად მივდიოდით ოჯახებით სავახშმოდ. ახლა არ ვიცი, როგორაა, მაგრამ როცა „მილანში“ ჩვენ ვთამაშობდით, ნამდვილი ოჯახი იყო. გატუზომ ერთხელ ლოკოკინა შეჭამა. არ მახსოვს რომელი მატჩი იყო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის თამაშისთვის ვემზადებოდით, მილანელოზე ვიყავით. წინა დღეს წვიმდა და ბალახზე ლოკოკინა იყო. ვუთხარი, რომ თუ შეჭამდა 10 000-ს მივცემდი, პირლო, ბროკი და სხვებიც ამყვნენ, რინოს ეუბნებოდნენ, რომ უნდა ეჭამა. მან კი, მართლა შეჭამა, მაგრამ 10 000 ვერ მიიღო. შემდეგ ერთი ბოთლი წყალი დააყოლა (იღიმის).

„ჯენოაში“ ლამაზი წლები გავატარე. პირველი სეზონი ძალიან კარგი იყო. მწვრთნელი გახლდათ გასპერინი, ის ძალიან კარგად ამზადებდა მატჩებს, ძალიან კარგი ვარჯიშები ჰქონდა, ინტენსიური და ძალიან დამეხმარა. „ჯენოაში“ ორი ძალიან კარგი წელი გავატარე. სტადიონი ულამაზესია, საოცარი ქომაგობა იციან, ფეხბურთი და „ჯენოა“ სიგიჟემდე უყვართ.

ადვილი არ იყო, მაგრამ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება ჩემი ქვეყნისთვის მივიღე, რადგან დრამატული სიტუაცია იყო. „ჯენოასთან“ კიდევ ერთი წელი მქონდა კონტრაქტი, მაგრამ ყველაფერი დავტოვე. ბიძინა ივანიშვილმა პარტია შექმნა, დავბრუნდი საქართველოში, შევხვდი მას და ვუთხარი, რომ ამ ომში მასთან ვიქნებოდი. შემდეგ იტალიაში ჩავედი, ვუთხარი მათ, რომ კარიერას ვასრულებდი და სახლში ვბრუნდებოდი. 2012 წელს ჩატარდა არჩევნები, რომელიც მოვიგეთ და დღემდე ისევ ხელისუფლებაში ვართ.

არა, მე არ შევცვლილვარ, როგორიც ვიყავი, იგივე ვარ. თუმცა, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან, როდესაც ხარ ქალაქის მერი, სადაც მილიონ-ნახევარზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და ბევრი პრობლემაა, ეს ადვილი არ არის. თუმცა, 2017 წლის შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა. ჩემი მხრიდან არ იქნება ლამაზი იმაზე საუბარი, თუ რა შეიცვალა ქალაქში.

საქართველო სტუმართმოყვარე ქვეყანაა, ყველა გიჟდება სტუმარზე. მე, როდესაც ფეხბურთს ვთამაშობდი, მაშინაც ვეუბნებოდი ბიჭებს, რომ ჩვენ ვგავდით იტალიელებს, მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა, ოჯახი ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. რატომ უნდა ჩამოვიდეს უცხოელი საქართველოში? სტუმართმოყვარეობა უკვე ვთქვი, გარდა ამისა, ულამაზესი ქვეყანაა, ზღვა და მთები გვაქვს, შესანიშნავი სამზარეულო და ღვინო, თანაც ყველაფერი ბუნებრივია, ძალიან ლამაზი ქვეყანა გვაქვს.

არა, არ მაქვს პრეზიდენტობის ამბიცია. მერი ვიქნები 2025 წლამდე და ჯერ კიდევ ბევრი კარგი პროექტი გვაქვს განსახორციელებელი, რასაც ჩემს თანამოქალაქეებს არჩევნებამდე დავპირდი. მხოლოდ ამაზე ვფიქრობ, რომ ჩემი ქალაქისთვის საქმეები კარგად გავაკეთო. ვნახოთ, ახლა ჩემთვის მთავარია 2025 წლამდე ყველა პროექტი რეალობად ვაქციო.

ხვიჩასთან ხშირად ვსაუბრობ, შესანიშნავი ბიჭია, გარდა ამისა, მამამისი ჩემი ახლო მეგობარია. ხვიჩა სანამ „ნაპოლისთან“ კონტრაქტს გააფორმებდა, მეც ველაპარაკე „ნაპოლის“ ხელმძღვანელობას და ვუთხარი, თუ რამდენად ძლიერი იყო ის. შემდეგ მათ დამირეკეს და მადლობა გადამიხადეს, რომ კარგი რჩევები მივეცი. კვარა ქართველების კუმირია იმის გამო, რაც გააკეთა შარშან და რასაც ახლა აკეთებს, ასევე ჩვენი ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. ბევრ ბავშვს სურს ფეხბურთელობა და მათთვის ხვიჩა უზარმაზარი სტიმულია. კვარა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია, არა მარტო, როგორც ფეხბურთელი, არამედ, როგორც ადამიანი.

არ ვიცი. მინდა, რომ ის ისეთ გუნდში ვიხილო, როგორიც „რეალი“, „ბარსელონაა“. მსურს, რომ მან ჩემპიონთა ლიგა მოიგოს და მხოლოდ ტოპ გუნდში შეიძლება ჩემპიონთა ლიგის მოგება. საბოლოოდ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ ვუსურვებ, რომ დიდ გუნდში გადავიდეს და ერთ დღეს ჩემპიონთა ლიგა მოიგოს.

ჯილარდინო ნამდვილად კარგად მუშაობს. გუნდი შესანიშნავად ჰყავს მომზადებული და მის გამო მიხარია. ის დიდებული ადამიანია და დიდებული მწვრთნელია ჩვენი ჯილა, ყოჩაღ.

„მილანს“ ჰქონდა პრობლემები, იმედი მაქვს, რომ სეზონს ოთხეულში დაასრულებენ და ჩემპიონთა ლიგაზე გავლენ, ეს მნიშვნელოვანია, რადგან სკუდეტოს მოგება ამ სეზონში რთული იქნება, რადგან „ინტერს“ შესანიშნავი გუნდი ჰყავს. ამ „მილანისთვის“ მნიშვნელოვანია, რომ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშოს, ზაფხულში უნდა შეიძინონ შესაბამისი ფეხბურთელები, არ ვიცი, რა გეგმები აქვს გუნდის ხელმძღვანელობას, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე სათამაშოდ შესაბამისი დონის ფეხბურთელებია საჭირო.

ცოტა უცნაური იყო „მილანიდან“ მალდინის გაშვება, ამას არავინ ელოდა. ვერ ვახერხებ წარმოდგენას „მილანს“ მალდინის გარეშე და მალდინის „მილანის“ გარეშე. ცოტა უცნაური იყო ჩემთვის კლუბის ეს გადაწყვეტილება, თანაც, ის ძალიან კარგად მუშაობდა.

ჩემპიონთა ლიგის მოგება დიდებული ემოცია და შესანიშნავია, რთულია სიტყვებით გადმოსცე ის განცდები, რასაც ამ ლამაზი თასის წამოწევისას გრძნობ. რაც შეეხება მერობას, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, იცი, ლამაზი რა არის? როდესაც გაქვს პროექტი და აკეთებ ამ საქმეებს, პრობლემებს აგვარებ, ძალიან სასიამოვნოა, როცა ხალხი გაფასებს. პოლიტიკაში ადვილი არ არის ხალხს ისე უყვარდე, როცა ფეხბურთელი იყავი, „მილანში“ თამაშობდი, მაგრამ გამიმართლა, რომ დღეს ხალხს, როგორც პოლიტიკოსიც ვუყვარვარ და ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა.

## ორიოდე სიტყვით

### პარაფარიკაობა

**პარიზი.** ევროპის ჩემპიონატი ეტლით მოსარგებლეთა შორის. „ა“ კატეგორია. ხმალი. **ვერცხლი.** ნინა თიბილაშვილი. „ბ“ კატეგორია. ხმალი. **ვერცხლი.** ირმა ხეცურიანი. „ბ“ კატეგორია. რაპირა. **ბრინჯაო.** ირმა ხეცურიანი. კიდევ 2 **ბრინჯაო** საქართველოს ნაკრებმა (ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი, გვანცა ზადიშვილი) მოხმალავეთა და რაპირისტთა გუნდურ ტურნირებში დაიმსახურა.

### ფარიკაობა

**ზაგრები** (ხორვატეთი). 23-წლამდელთა ევროპის თასის გათამაშება. 45 მონაწილე 9 ქვეყნიდან. დაშნა. **ბრინჯაო.** გიორგი ჯავახიშვილი.

### კრივი

**ბუსტო არსიციო** (იტალია). პირველი ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირი. 112 ქვეყნის 632 წარმომადგენელი, მათ შორის 5 ჯვაროსანი, პარიზის წლევანდელი თამაშების 49 ლიცენზიის მოსაპოვებლად იბრძვის (28 ვაჟთა და 21 ქალთა კვოტა). ზედიზედ 3 გამარჯვების შემდეგ მეოთხედფინალში იჩხუბებს **გიორგი ყუშიტაშვილი** (92) და იქ მოგების შემთხვევაში ზაფხულში ფრანგულ რინგზე ვიხილავთ!

**ბუდვა** (მონტენეგრო). მსოფლიოს ახალგაზრდული თასის 33-ე გათამაშება. **ბრინჯაო.** ლევან დემუროვი (60). ჩვენი დელეგაცია 14-წევრიანი გახლდათ (მთავარი მწვრთნელი **თემურ ოჩიგავა**).

### ჩოგბურთი

**შარმ ელ-შეიხი** (ეგვიპტე). 15-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. **პირველი ადგილი** – საბა ფურცელაძე (მე-4 განთესვა)

### თოვლის ფრენბურთი

**ბაკურიანი.** საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი. კვარცხლბეკი. **ვაჟები**. ბათუმი, სტუ, ცაგერი. **გოგონები.** ევროპის უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველოს უნივერსიტეტი. რაც შეეხება იქვე გამართულ ამავე ასაკში ევროპის პირველ ჩემპიონატს 8 გუნდის მონაწილეობით, მისი პრიზიორები გახდნენ: **გოგონები:** ჩეხეთი, პოლონეთი, თურქეთი. **ვაჟები.** პოლონეთი, ჩეხეთი, თურქეთი.

### ძიუდო

**ლინცი.** ზემო ავსტრიის გრან პრი. **ბრინჯაო.** გიორგი ჯაზნიაშვილი (90), გურამ თუშიშვილი (+100). სულ ალპურ ტატამზე 8 ჩვენებურმა იჭიდავა.

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**ანტალია. (თურქეთი).** ვეჰბი ემრეს მემორიალი. **ვერცხლი.** გიორგი თოხაძე (55), ოთარ აბულაძე (72).

### რაგბი

**პარიზში** 17 მარტს პორტუგალიასთან გასამართავი რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალისთვის ბორჯღალოსნები 5 დებიუტანტით ჩაფრინდნენ: გიორგი შველიძე, დავით აბდუშელიშვილი, ნიკოლოზ სუთიძე, დემურ ეფრემიძე, ლუკა ხორბალაძე.




# ტრაგიკული სტატისტიკა: 2023 წელს ავარიებს 442 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა!

**საქართველოში 2023 წელს ავარიებს 442 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაშავდა 7 310. გასულ, 2022 წელს ავტოკატასტროფებში დაიღუპა 430 ადამიანი, დაშავდა 7 517.**

ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევ მიზეზებს შორის წლებია დომინირებს ავტომობილის მართვა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, სიჩქარის გადაჭარბება, შემხვედრ ზოლში გადასვლა ან გასწრების წესების დარღვევა და დისტანციის დაუცველობა. მხოლოდ 2023 წელს 13 ადამიანი დაიღუპა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლის დაუდევრობით, 67 ემსხვერპლა სიჩქარის გადაჭარბებით გამოწვეულ ავარიას.

გასულ წელს ავტოსაგზაო შემთხვევებს მოტოციკლების მონაწილეობით 16 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავდა 808. მხოლოდ 2023 წელს 90 ქვეითი დაიღუპა ავტოსაგზაო შემთხვევებისას. მათგან 12 არასრულწლოვანი იყო.

# ახალი სპეცოპერაცია ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ, შსს-მ 8 პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 8 პირი დააკავეს.**

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვისა და მათი უკანონო რეალიზაციის მომზადების, მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ფაქტებზე დაკავებულია მრავალი ადრე ნასამართლევი და „ახალი" დამნაშავე. ოპერატიული ღონისძიებები ყოველდღიურად გრძელდება!

# საბერძნეთის საავადმყოფოებში არალეგალები დააკავეს

**საბერძნეთში, ატიკას ორ საავადმყოფოში, მედდად არალეგალურად მუშაობისთვის 6 ქართველი ქალი დააკავეს – ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს და წერს, რომ ჯამში, ამ ბრალდებით, 10 ქალია დაკავებული, მათ შორის ორი ალბანელი, ერთი ყაზახი და კიდევ ერთი ბერძენი. მათგან შვიდი საბერძნეთში არალეგალურად ცხოვრობდა.**

მედიის ცნობით, მათ არ ჰქონდათ განათლების დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული ლიცენზიები, ჯანმრთელობის ბუკლეტები, ასევე, არ იყვნენ რეგისტრირებული იმ საავადმყოფოს ექსკლუზიური ექთნების რეესტრში, სადაც მუშაობდნენ. დაკავებულები მათ წინააღმდეგ წარდგენილი საქმეებით პროკურატურაში გადაიყვანეს.

# როზეტა ყალიჩავას მკვლელობისთვის მის ქმარს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა

**პოლონეთში როზეტა ყალიჩავას მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ინფორმაციას საფარი ავრცელებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ყალიჩავა სიცოცხლეში იყო სისტემატური ძალადობის მსხვერპლი.**

გარდა ამისა, დამნაშავეს როზეტას არასრულწლოვანი შვილებისთვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა, თითოეულისთვის დაახლოებით 50 000 ევროს (200 000 პოლონური ზლოტი) ოდენობით. ბავშვები ახლა საქართველოში, ბებიასთან იმყოფებიან.

საფარის იურისტის, ეკა მუზაშვილის განმარტებით, საქმე დასრულებული არ არის და ამჟამად, Helsinki Foundation for Human Rights-თან ერთად გრძელდება მუშაობა ბავშვებისთვის კომპენსაციის მიღების აღსრულებისა და პოლონეთის სამართალდამცავი უწყებების მხრიდან გულგრილობის გამო სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე".

# ნეაპოლში ქართველი ემიგრანტი გარდაიცვალა

**ქალაქ ნეაპოლში ახალგაზრდა ემიგრანტი, 37 წლის ნათია ქადარია, სავარაუდოდ გულის შეტევით გარდაიცვალა. ახალგაზრდა ქალი ზუგდიდიდან იყო.**

ხომ იცით, გაჭირვება ყველაფერს ავიწყებს ადამიანებს და წავიდა. სახლი იყიდეს და სახლს მოვაწყობო და აი ვერც მოასწრო, გოგო ახლა ამთავრებდა სკოლას და მისთვის შევაგროვებო და წამოვალო, აპრილის ბოლოს მოდიოდა და არ დასცალდა. წელიწადიც არ იქნება რაც წავიდა იტალიაში.

გარდაცვალების დღეს, თავის შვილს ელაპარაკებოდა ტელეფონზე და რაღაც კარგად ვერ ვარო და წაიქცაო... ტელეფონი ხომ გაუვარდა ხელიდან, საათ-ნახევარი ვეძახოდი – დედა დედაო! და არ მპასუხობდაო. ანუ ნახეს, რომ წაიქცა და ის ვისაც უვლიდა ის ქალიც ყვიროდა თურმე და მერე მიხვდნენ რომ გარდაიცვალა.

# საფრანგეთის საავადმყოფოში 6 წლის ქართველი ბავშვი დაიღუპა

**საფრანგეთის ერთ-ერთ საავადმყოფოში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში მცხოვრები, 6 წლის ლუკა მინდიაშვილი გარდაიცვალა.**

ახლობლების ინფორმაციით, ლუკა მინდიაშვილს სიმსივნის დიაგნოზი ექიმებმა რამდენიმე თვის წინ დაუსვეს. ოჯახმა მოზარდის საფრანგეთში გადაყვანა შეძლო, თუმცა მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო.

# პროკურატურამ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ბრალი წარუდგინა

**პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, შენახვის და გასაღების მცდელობის ფაქტებზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.**

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქემ უკანონოდ შეიძინა და ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 266,9 გრამ ნარკოტიკულ საშუალება მეთადონს (მარილი), რომლის ნაწილი – 260,1 გრამი სამართალდამცველებმა 8 მარტს, ქალაქ ბათუმში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს. 6,8 გრამი ნარკოტიკული საშუალება შსს-ს თანამშრომლებმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამებაში სხვადასხვა ადგილიდან ამოიღეს, რომელიც ბრალდებულს გასაღების მიზნით ჰქონდა განთავსებული. ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, შსს-ს თანამშრომლებმა ასევე სასწორი და ნარკოტიკული საშუალებების დასაფასოებლად საჭირო ნივთები ამოიღეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 8 მარტს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და სსკ-ის 19-260-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღების მცდელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახით, 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# 27 წლის ქართველ ფეხბურთელს პოლონეთში შესვლაზე უარი უთხრეს

პოლონეთის სასაზღვრო დაცვის სამსახური ავრცელებს ინფორმაციას, რომ 9 მარტს ქვეყანაში არ შეუშვეს საქართველოს მოქალაქე, 27 წლის ფეხბურთელი. ის პოლონეთში ქუთაისიდან მიფრინავდა.

**„უცხოელი IT მონაცემთა ბაზაში იყო, როგორც მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც უარი უნდა ეთქვა შენგენის ზონაში შესვლაზე ან დარჩენაზე და როგორც არასასურველი პირი პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე",** – ნათქვამია განცხადებაში. პოლონური მხარე ამბობს, რომ უცხოელის დაგეგმილი გამგზავრება ქუთაისში 12 მარტს შედგება.

## სანთელი

**გივი ბიბილაშვილის და ლიზა ბალიაშვილის ოჯახი მწუხარებას გამოთქვამს**

# უშანგი ბასიაშვილის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და გულითადად უსამძიმრებენ კოლეგასა და მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს თეიმურაზ ქორიძეს ძმის**

# ალექსანდრე (ალე) ქორიძის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს. დაკრძალვა კვირას, 17 მარტს, სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარში.**

# „სადაც მხეცი, მტაცებელი, ანუ ძაღლი ჰყეფს, იქ ოჯახის ანგელოზი გარბისო"...



**ძაღლი მიეკუთნება მტაცებელთა რიგს!!!**

**ადამიანმა ადვილად შეძლო მისი მოთვინიერება და მისი ფუნქციების სხვადასხვა მიზნით გამოყენება:**

**მაძებარის ფუნქციები ნადირობისას;**

**საჭაპანო ფუნქციები (მცირე ტვირთებისა და მარხილებში ჩაბმა);**

**დარაჯის ფუნქცია;**

ყველაზე ცნობილი და უძველესი ფუნქცია, რაც ძაღლებს აკისრიათ, ესაა შინაური ცხოველების დაცვა (მეცხვარე ძაღლი, იგივე ნაგაზი).

გარკვეული ჯიშები გამოიყენება კრიმინალურ ორგანოებში, სამაშველო სამსახურებშიც და გამოირჩევა განსაკუთრებულად განვითარებული ყნოსვით – ზოგიერთი მონაცემით, ძაღლებს შეუძლიათ 40 ათას სხვადასხვა სურნელის გარჩევა-დამახსოვრება.

**არსებობს ასევე დეკორატიული ჯიშები, ამ ჯიშების ძაღლებით ცდილობენ სითბოს დეფიციტის დაძლევას ადამიანები და საკმაოდ ტრენდულ კომერციულ წყაროდაც იქცა.**

ძაღლი ადამიანის ერთგული მეგობარია!

**გავიგე!!!**

**გავიგეთ!!**

**ვიცით!!!**

**ამიხსნას ვინმემ, რატომ დადიან ქუჩებში გიჟური, მაწანწალა ძაღლები? რისთვის არიან საჭირონი? რა დანიშნულება აქვთ?**

მსოფლიო გაგიჟდა რვამილიარდი ადამიანის რაოდენობრიობაზე და ხელოვნური გამანადგურებლებია ჩართული მათ მოსაკვდინებლად, ამას ვხედავთ თითქმის ყოველდღე... და ძაღლებს, თურმე თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და მოვეფეროთ.

რატომ უნდა მხვდებოდეს ჩემს სასიარულო გზაზე, სკამებზე, სკვერებში, მოსაცდელებში, სადარბაზოებში, ჩემი კარების საფენზე, რატომ უნდა იწვეს და სიბინძურეს და ბეწვებს ყრიდეს და ეს ნორმალური იყოს???

ან, რა ტვინი უნდა ედოს ადამიანს თავში, როცა კითხვას სვამს – „რატომ გეშინია"?! მტაცებელი ცხოველისადმი შიში, თურმე არანორმალურია და ზემოთ ჩამოთვლილი – ნორმალური?!

ვინ მოგვისაჯა?

რა მიზნით?

**ან რა მცნებაა „ძაღლთმოძულეობა"? საიდან დამკვიდრდა?**

„ძაღლთმოძულეობა" თავისთავში მოიცავს ძაღლისადმი სიყვარულის ვალდებულებას, რაც ირიბი ძალადობაა!!!

ადამიანების დაცვის უფლებებს გადაჭარბებული ძაღლების უფლებები მიზანმიმართული პროგრამის ნაწილი მგონია, რომელიც შიშში ცხოვრების დანერგვას და მხეცური ცხოვრების თანაზიარობას მოიაზრებს. ეს არის მორიგი ტვინგამოსარეცხი, ტრენდული ჰუმანიზმით კარგად შეფუთული პროექტი, რომლის მიზანი ადამიანის უკანა საფეხურზე გადაყვანის მორიგი ხერხია.

სასწრაფოდ მიიღეთ ზომები და შესაბამისი კანონები ადამიანების დასაცავად!!!

არც ერთი, ტვინგარეცხილი „ჰუმანისტი" არ შემომიხტეს აქ!!!

ადამიანებს მიხედეთ!!! ადამიანებს!!!

**ნინო ხოტივარი-ლომიძე**

ვულოცავთ



# შესანიშნავი ბალეტ-მაისტერი იუბილარია

## რევაზ წულუკიძე — 95

ჩვენს თანამემამულეს, ცნობილ ბალეტმაისტერ რევაზ წულუკიძეს 95 წელი შეუსრულდა.

ბატონმა რევაზმა, რომელიც ამჟამად გერმანიაში, მეუღლესთან ერთად, ქალაქ დრეზდენში ცხოვრობს, ადრეული ასაკიდან დაიწყო სასცენო მოღვაწეობა ბალეტის სფეროში.

როგორც სოლისტი, მონაწილეობდა კლასიკურ ბალეტებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, გამოდიოდა საზღვარგარეთის მრავალ სცენაზე მოსკოვში,ბერლინში, ლონდონში და სხვაგან. მისი შემოქმედება განსაკუთრებით წარმოჩინდა რეჟისორ-ქორეოგრაფის ამპლუაში.

1964 წელს მან თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე დიდი წარმატებით დადგა ანდრია ბალანჩივაძის ბალეტი „მწირი", რომელიც მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო.

რევაზ წულუკიძეს დადგმული აქვს საბალეტო სპექტაკლები უცხოეთის მრავალი თეატრის სცენაზე – ანკარაში, სტამბოლში, გდანსკში, მოსკოვში, ბერლინში. როგორც ბალეტმაისტერი და პედაგოგი მოღვაწეობდა სასცენო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში.

მისი ქორეოგრაფიით და ლიბრეტოებით დადგმულია დიდი რაოდენობის საცეკვაო სცენები ოპერებში, ოპერეტებში, დრამატულ სპექტაკლებში, საესტრადო წარმოდგენებში და მრავალი სხვ.

ბატონ რევაზს მიღებული აქვს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის საპატიო წოდება – „ქართული თეატრის ამაგდარი". ვუსურვოთ ბატონ რევაზს ხანგრძლივი სიცოცხლე და შემოქმედებითი წარმატებები.

**გიორგი გეგეჭკორი,**
საქართველოს თეატრალური კავშირის თავმჯდომარე.

# „ევროვიზიაზე" სპეციალურად ნუცა ბუზალაძისთვის შექმნილი სიმღერა

**ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენლის ნუცა ბუზალაძის სიმღერისა და ვიდეორგოლის პრემიერა თბილისში გაიმართა. საქართველოს საკონკურსო სიმღერის სახელწოდებაა Firefighter. ის დარკო დიმიტროვმა და ადა სატკამ სპეციალურად ნუცასთვის დაწერეს. ნუცა ბუზალაძესთან ერთად ვიდეორგოლში ქართველი და იტალიელი მოცეკვავეები მონაწილეობენ.**




„ევროვიზიის" სიმღერის კონკურსი წელს 7, 9 და 11 მაისს შვედეთის ქალაქ მალმეში გაიმართება. ნუცა ბუზალაძე საქართველოს სახელით 9 მაისს, მეორე ნახევარფინალში იმღერებს.

# გელათში კრიტიკული კერების რესტავრაცია დაიწყო



**გელათში სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები დაიწყო. ტაძარში ქართველი და საერთაშორისო სპეციალისტების მორიგი ჯგუფი იმყოფება. სპეციალისტებმა შიდა სივრცეში არსებული მდგომარეობის პირველად დასკვნაზე ისაუბრეს.**

მათი თქმით, გამოვლინდა 21 კრიტიკული კერა, რომლის კონსერვაცია დღეიდან დაიწყება, პარალელურად მიმდინარეობს კედლის მხატვრობის სხვა დაზიანებული მონაკვეთების კვლევა. სამუშო ჯგუფის წევრების განცხადებით, პროცესი წლის განმავლობაში უწყვეტად გაგრძელდება.

# სამუსიკო სასწავლებლებს მინისტრი ესტუმრა

**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორობის კანდიდატ გიორგი ვაჩნაძესა და მის მეუღლესთან, პიანისტ კიომი სუგიმურასთან ერთად განაგრძობს სამუსიკო სასწავლებლების გაცნობას.**



ისინი ამჯერად იმერეთში სახელმწიფოს რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან, ქუთაისის მერ იოსებ ხახალეიშვილთან, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ირინე ლომინაძესთან ერთად ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლასა და ახლად რეაბილიტირებულ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელს ესტუმრნენ.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა №1 სამუსიკო სკოლის დირექტორს ზანდა კიკვაძეს, ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის დირექტორს მანანა კიკაბიძესა და პედაგოგებს შრომისა და მაღალი დონის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. შეხვედრისას თეა წულუკიანმა ისაუბრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და მის ახალ ხელმძღვანელთან სამუსიკო სასწავლებლების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობასა და უწყვეტი სამუსიკო განათლების აღდგენის შესაძლებლობებზე.

2023 წელს სამინისტროს კონკურსში – „სამუსიკო სასწავლებლებისთვის ინსტრუმენტების შეძენა" – გამარჯვების შედეგად ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებამ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისათვის როიალისა და ციფრული პიანინოს შესაძენად სამინისტრომ გამოყო 40 000 ლარი.

2022 წელს ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებამ ქუთაისის რამდენიმე სამუსიკო სკოლისთვის, მათ შორის – მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისთვის, იმავე კონკურსში გამარჯვების შედეგად შეიძინა 8100 ლარის ღირებულების 18 სასულე ინსტრუმენტი.

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის 105 წლის ისტორიულ შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და განახლებული სასწავლებელი მიმდინარე წლის იანვარში გაიხსნა.

# ორასი ათასი ლარი კერძო პროფესიული თეატრებისთვის

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი – „კერძო თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა".

**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონკურსისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 200 000 ლარს და მისი მიზანია საქართველოში მოქმედი კერძო პროფესიული თეატრების გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა; კერძო ინიციატივების წახალისება, თეატრალურ ცხოვრებაში კერძო თეატრების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა; თანამედროვე ქართულ თეატრში კონკურენტული გარემოს შექმნა და შემოქმედებითი პროცესის გააქტიურება.**

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შექმნილ თეატრებს, რომელთა დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირ(ებ)ი, ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი.**

**კონკურსი – „კერძო თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა" – 2021 წლიდან ცხადდება. პირველ წელს საკონკურსო ბიუჯეტი იყო 250 000 ლარი. 14 საკონკურსო განაცხადიდან დაფინანსდა ხუთი პროექტი. 2022 წელს (საკონკურსო ბიუჯეტი 230 000 ლარი) 13 საკონკურსო განაცხადიდან გაიმარჯვა შვიდმა პროექტმა. 2023 წელს საკონკურსო ბიუჯეტი შეადგენდა 230 000 ლარს და 15 საკონკურსო განაცხადიდან გაიმარჯვა ცხრა პროექტმა.**

უწყების ცნობითვე, ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გამოქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე არაუგვიანეს 2024 წლის 3 აპრილისა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა"
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 15 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6570; ევრო - 2.9052;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3999;
100 რუბლი - 2.9326; თურქული ლირა - 0.0830;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5627;
1000 სომხური დრამი - 6.5531

**ამინდი 13 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | –3, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –3, | დღე +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –2, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე +14 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge